1926 წ. მაისი.
№ 5.
ფასი 2 ფრ.

# დამოუკიდებელი საქართველო

La Géorgie Indépendante
Édition mensuelle
1926. — MAI N° 5
Prix : 2 fr

საქართველოს პოლიტიკური პარტიების საერთო ორგანო.

## სამარადისო თარიღი.

იტყვიან ხოლმე, რომ 26 მაისი ჩვენთვის ისტორიული თარიღიაო. ამ დღეს გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა, მისი სახელმწიფოებრივი უზენაესობა. ქართველმა ერმა გადაიგდო რუსეთის უღელი და თვით გახდა თავის სვებედის მჭედელი.

მაგრამ 26 მაისი ჩვენთვის მეტია, ვინემ ისტორიული თარიღი. ისტორია აგვიწერს წარსულს, უკვე მომხდარს, და ამ მხრივ კი ჩვენ ბევრი სხვა თარიღიც გვაქვს, არა ნაკლებ ღირსშესანიშნავი. გაიხსენეთ დამოუკიდებლობის აქტის შესავალი: «მრავალ საუკუნეთა განმავლობაში საქართველო არსებობდა, როგორც დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფო».

26 მაისი ჩვენთვის აწმყოს თარიღიცაა, მომავლისაც, ერთი სიტყვით—სამარადისო. მას ვერ წაშლის დროთა უკუღმართობა.

ერი და სახელმწიფო სინონიმია. ერი ვერ იქნება თავისუფალი, თუ ის არ ხელმწიფობს, თუ ის მოკლებულია ხელისუფლებას. ქართველმა ერმა სწორეთ ეს სინტეზი გააკეთა 26 მაისს. მრავალ საუკუნეთა ხელმწიფობის მატარებელმა, მან ადვილათ აუღო ალღო დიდ ომისა და რევოლიუციის შედეგებს და შექმნა ხელისუფლების ორგანოები, შეგუებული ახალ დროსთან, დემოკრატიულ პრინციპებთან.

უცხო სახელმწიფოებმა ღირსეულათ დააფასეს საქართველოს ეს ნაბიჯი და იცნეს მისი დამოუკიდებლობა. ამაზე ადრე საქართველომ შეკრა პირობა რუსეთთან, და უკანასკნელმა გადაჭრით იცნო მისი სახელმწიფოებრივი უზენაესობა და ხელი აიღო «სრულის ხალისით» ყოველგვარ პრეტენზიებზე საქართველოს და მის ტერიტორიის მიმართ.

ამ ყველასათვის ცნობილ ფაქტების განმეორება არასოდეს არაა ზედმეტი. მათ ვერ შესცვლის მტრის დაუჯერებელი ვერაგობა, ძალმომრეობა ვერ იქცევა უფლებად, ოკუპაცია—ნებაყოფილებით შეერთებად.

ქართველი ერი ისევ ჯაჭვებშია, მაგრამ ის თავისუფალია სულით. მონა ვერ იქს იმას, რასაც ქართველი სჩადის. უნდა იყო თავისუფალი სულით, რომ მონობაშიც თავი დამოუკიდებელ სახელმწიფოში წარმოიდგინო, მას ეტრფოდე, მისთვის იყო ხელი. ქართველი ერი იბრძვის, არ ერიდება მსხვერპლს, თავისუფალი სულით ის ხორციელათაც თავისუფალი გახდება.

ამის თავდებია საერთაშორისო ძალთა განწყობილებაც. მოსკოვი, მიუხედავათ მისი ცნობისა, ირიყება თანდათან საერთაშორისო ოჯახიდან, მისი სამოქმედო ასპარეზი ვიწროვდება არა მარტო დასავლეთით, არამედ აღმოსავლეთის მხრითაც. ის ეძებს გამოსავალს, ხან აქეთ ასკდება, ხან იქით, გარდუვალია «კაპიტულაცია: ეკონომიური ევროპის, ხოლო პოლიტიკური აზიის წინაშე». რიკოვს უყივლა ენამ—მან იხმარა სწორეთ ეს ფრაზა ერთი წლის წინ, წინაუკმო—გასაგებია.

როგორია რუსეთის შინაური მდგომარეობა? კრიზისი ეკონომიური და ფინანსიური, რასაც ბუნებრივათ უნდა მოჰყვეს კრიზისი პოლიტიკური.

თავის ბატონობის მე-9 წელს ბოლშევიზმი სდგას ჩვენს წინაშე გაშიშვლებული, შემოცვეთილი ყველა მის ვითომდა მიმზიდველ ლოზუნგებს, გაკოტრებული, გამოთაყვანებული. ის კიდევ აშენებს «სოციალიზმს», ხელი კი სამათხოვროთ აქვს გაშვერილი უცხო კაპიტალისტებისაკენ; ის კიდევ იმუქრება «მსოფლიო რევოლიუციით», რუსეთს კი კოლონიის ხვედრს უმზადებს...

მაშასადამე, შორს არაა ის დრო, როცა განთავისუფლების ჟამი დაჰკრავს. ქართველი ერი ვალდებულია მომზადებული დახვდეს მას. მან უნდა შემოიკრიბოს მთელი თავისი ძალები, ენერგია, ენტუზიაზმი.

26 მაისი გაშლილი დროშაა მის ხელში, ბრძოლის ყიჟინა: მწყობრათ, ერთის ფრონტით გამარჯვებისაკენ!

## 26 მაისი.

26 მაისი, დღე თავისუფლების და აღორძინების, დღე საუცხოვო წასულის და გამარჯვებული მომავალის.

26 მაისში ქართველმა ერმა გამოკვეთა თავისი სახე, გამოაქანდაკა თავისი სულიერი და ფიზიკური აგებულება. გამოჭედა თავისი პიროვნება, როგორც ერთი განუყოფელი მთელი.

26 მაისს საქართველო გამოვიდა მსოფლიო შარა-გზაზე და შევიდა საერთაშორისო ოჯახში როგორც ერთი მისი სწორუფლებიანი წევრი.

26 მაისიდან იწყება ჩვენი ახალი ისტორია, გრძელდება ცოტახნით შეწყვეტილი ორი ათასი წლის საკუთარი მსვლელობა და ებმება ძაფები მომავალ საუკუნოებს.

26 მაისს ფრთაშეკვეცილმა ქართველობამ აიშვა, აფართქალდა და ჩრდილოეთს თავისი თავისუფლება გამოსტაცა, თავისი დროშა კავკასიონის ქედზე ააფრიალა და იქ წაშლილი საზღვარი აღიდგინა.

26 მაისი არის დღე ზეიმის, დღესასწაული მთელი ერის, განურჩევლათ აზრისა და მდგომარეობისა.

მაგრამ სიბნელემ გაიმარჯვა სინათლეზე. მოპოვებული თავისუფლება მტერმა მოგვტაცა და სიცოცხლის ალაგას სიკვდილის დროშა ააფრიალა.

ქართველ ერს აღარ ძალუძს 26 მაისი იდღესასწაულოს, ის დღეს ამირანივით მიჯაჭულია კავკასიონის ქედზე და იფლითება შემოსეული მტაცებლებისაგან.

26 მაისი დღეს მხოლოდ სიმბოლოა და არა ცოცხალი მოვლენა, ის მხოლოდ მოგონებაა წარსულის და მანათობელი ვარსკვლავია მომავალის. ის საქართველოს ხიდია, წასულიდან მომავლისკენ გადებული და მასზე ჩვენ ყველა, მთელი ქართველობა შეურყევლათ გავდივართ. მტერი დარაჯობს ამ გზას, ის ჩასაფრებულია ყოველი მხრით, მარა ჩვენ მაინც წინ მივდივართ, მივდივართ, და არ არის ძალა ჩვენი შემაჩერებელი, ვინაიდან არ არის ძალა ისტორიის უკან დამქანებელი.

26 მაისის დღეს ქართველი ხალხი თავის გულში, თავის ოჯახში დღესასწაულობს; ის იგონებს დაკარგულ თავისუფლებას და იმედოვნებს მის დაბრუნებას.

26 მაისი ანთებული ჩირაღდანია; ის ინათებს მუდამ, ჩაუქრობლათ, შეუსუსტებლათ და ჩვენ მოგვიწოდებს თავისი სხივების ქვეშ.

სანამ ქართველი ერი იარსებებს, 26 მაისს იდღესასწაულებს.

მოულოცავ საქართველოს ამ დიდებულ დღეს და უსურვებ ბრძოლის გაგრძელებას, იმედიანათ ცხოვრებას.

ნ. ჟორდანია.

## ჩვენი დღეობა.

26 მაისი—ჩვენი ეროვნული დღეობაა.

«ვინცა მოჰკვდეს მეფეთათვის, სულნი მათნი ზეცას ჰრბიან,» ამბობს რუსთველი. ეს ხმა მოდის შორი საუკუნიდან, იმ დროიდან, როცა საქართველოს ტახტზე ჰბრწყინავდა თამარმეფე და ხალხი რწმენით და სასოებით შეჰყურებდა მას. წარსულ ხანებში ეროვნული ინსტიქტი თავის დაცვისა მოითხოვდა ეროვნულ მთლიანობას, ყველა ძალების შეერთებას და ერთს ეროვნულ ნებისყოფას. ეს საჭიროება იყო მტრების მოსაგერიებლად, საზღვრების გასამაგრებლად და შინაურ ცხოვრების ასაყვავებლად. ამ ინსტიქტის განსახიერება იყო მეფე და მთლიან ეროვნულ ცხოვრებას ერქვა სახელად—სამეფო. მეფე იყო მმართველი და კანონმდებელი. მისი ბრძანებით და მეთაურობით შეიძლებოდა ამოძრავება ერისა და მიმართვა მისი ძალების იქით, სადაც საჭიროება მოითხოვდა. თავისდადება მეფისათვის იყო თავის-დადება სამშობლოსათვის. ამიტომ ამბობს პოეტი:

> «ვინცა მოჰკვდეს მეფეთათვის,
> «სულნი მათნი ზეცას ჰრბიან.»

დრო გამოიცვალა. ინსტიქტმა დაუთმო ადგილი შეგნებულ და მიზანშეწონილ მოქმედებას. მეფის მაგიერ ისტორიულ ასპარეზზე გამოდის თვითონ ერი და მამულის დაცვა გახდა საგანი საყოველთაო ვალდებულებისა. ქართველი ერიც არ ჩამორჩენილა ამ საყოველთაო ევოლიუციას. დიდი ომის ქარიშხალმა შეარყია უზარ-მაზარი რუსეთი, დაჰბერა საქართველოსაც და განაბნია მასში ასი წლის მონობით ჩამოწოლილი ბურუსი. მთელი ერის წინ ნათლად და მკვეთრად დადგა საკითხი ეროვნულ თავისდაცვისა. არა ინსტიქტმა, არა გაურკვეველ და ბუნდოვან მიდრეკილებამ, არამედ ეროვნულ ინტელექტმა—აწონ-დაწონა გარემოება და გამოიყვანა ლოღიკურად და უფლებრივად აუცილებელი დასკვნა:

> «ამიერიდან საქართველო დამოუკიდებელი
> სახელმწიფოა.»

ეს მოხდა 26 მაისს 1918 წელს. ეს იყო ჯერ მხოლოდ დეკლარაცია. საჭირო იყო ამის შესახებ დაკითხვა მთელი ერისა, გაგება მისი შეხედულების, მისი ნებისყოფისა. ამისთვის მოხდა საყოველთაო არჩევნები. მერე რა უპასუხა ერმა ამ მკაფიოდ და მარტივად დაყენებულ კითხვას? აირჩია მან თუნდაც ერთი წარმომადგენელიც კი, რომელიც ყოფილიყო წინაალმდეგი საქართველოს დამოუკიდებლობისა?! გაისმა ერთი ხმა მაინც დამფუძნებელ კრებაში წინაალმდეგ ამ დამოუკიდებლობისა ან შეიტანა ვინმემ რაიმე შესწორება?—არა! 26 მაისის დეკლარაცია ერთხმად იქმნა დამტკიცებული 12 მარტს 1919 წელს დამფუძნებელ კრების მიერ და 26 მაისის აქტი გახდა ძირითადი კანონი საქართველოს რესპუბლიკისა. გამოითქვა საქართველოს ეროვნული ნებისყოფა უცილო და შეურყეველი:

> «ამიერიდან საქართველო—დამოუკიდებელი
> სახელმწიფოა!»

ვისაც აქვს პატივისცემა ერისა, უნდა ჰქონდეს პატივისცემა მისი ნებისყოფისა. გასაგებია და სასახელოც ბრძოლა ყოველ ტირანიის წინაალმდეგ, მაგრამ სასირცხვილოა, ღალატია—უარის ყოფა ეროვნული გადაწყვეტილებისა. სოკრატმა დალია საწამლავი, არჩია სიკვდილი სიცოცხლეს მხოლოდ იმისთვის, რომ არ დაერღვია სამშობლო ქვეყნის კანონები.—და რაღა არის უზენაესი კანონი, თუ არა ეროვნული ნებისყოფა?! ბევრმა გაიგო ეს, ბევრმა დალია ამისთვის სული და საქართველოს აღდგომის გოლგოთაზე ბევრი მოსჩანს გმირული სახე, შემოხვეული განწირულების შარავანდედით. ჩვენი მხნე და თავგანწირული ახალგაზდობა განა ალტაცებით და თავგამოდებით არ შეხვდა ამ ეროვნულ ხმას და განა ათასობით არ შესწირა მას თავი?! მოვიხადოთ ქუდი... მოვიდრიკოთ მუხლი მათი ხსოვნის წინ!.. ეხლაც ვინ იცის—რამდენი მამულიშვილი იტანჯება რუსეთის ციხეებში და რამდენს მოელის კიდევ ჯალათის ხელი? მაგრამ ვერავითარი ჯალათი ვერ წაშლის იმ მარადიულ წარწერას, რაც ქართველ ერმა წამოანთო თავის ბედის კამარაზე:

> «ამიერიდან საქართველო—დამოუკიდებელი
> სახელმწიფოა!»

ამ ნაირად საქართველოს სამეფოს მემკვიდრედ მოჰყვა საქართველოს რესპუბლიკა, მეფის ნებისყოფას—ეროვნული ნებისყოფა. ერთია ერი, ერთია ტერიტორია, ერთია ენა, ზნე და ჩვეულებანი. 26 მაისი აბამს ისტორიაში ეროვნულ ცხოვრების გაწყვეტილ ძაფს... რა საკვირველი ცხოვრებაა! იგი მოჰდულს ოცი საუკუნის სიშორიდან, გახვეული ბრძოლის ქარბუქში, ხან ანკარა და ბრწყინვალე მისი გონებრივი შემოქმედებით, ხელოვნებით და პოეზიით... იგი ჰდულს დღესაც: ევროპა და აზია ჯერ არ დამშვიდებულა, ჯერ არ ჩამდგარა მშვიდობიან კალაპოტში, და ვერც ჩადგება, სანამ არ მოისპობა ბოლშევიკური რუსეთი. საქართველო კი სდუღს და ელის, მისი საკითხი იქცევა კავკასიის მთებზე, როგორც «სული ღვთისა იქცეოდა ზედა წყალთა» შექმნის დროს. მალე დადგება 26 მაისი, როცა მხიარული ახალგაზდობა და ალეგორიული მარხილებით გაემართებიან ვაკისაკენ, საქართველოს სტადიონი მოიფინება ალტაცებული ხალხით და მოვარჯიშეთა რაზმებით, დაჰკრავს მუზიკა და ეროვნული ჰიმნი ამცნევს გაფურჩქვნილ ბუნებას და მოკამკამე კამარას:

> «ამიერიდან საქართველო—დამოუკიდებელი
> სახელმწიფოა!»

აი, რა არის 26 მაისი—სახელოვანი ფურცელი ჩვენი ისტორიისა და ხელმძღვანელი ვარსკვლავი ჩვენი მოძრაობისა.

გიორგი გვაზავა.

## 26 მაისი.

«26 მაისი»—ჰო, რა ღვთაებრივი ნეტარებაა ჩაწნილი ამ სიტყვებში!

რა ნაზი, დამატყვევებელი იდუმალება ეუფლება სულს, რა შვებას, რა სიხარულს განიცდი—როს გესმის—26 მაისი!

26 მაისს აღსდგა ერი მარადიული ყოფისა და შემოქმედებისათვის!

26 მაისს აღსდგა ერი და შეიმუსრა სიკვდილი!

26 მაისი ზეიმია სიმართლის და სამართლიანობის.

სად არის ბნელეთო ძლიერება შენი?!

26 მაისია—ხარობს ყველა, ყოველივე.

ვისაც არ უნახავს 26 მაისი თავისუფალ საქართველოში—იმას არ უნახავს მოზეიმე ერი მის უბედნიერეს წუთებში, მან არ იცის, როგორია ნეტარება ხორცშესხმული.

ვისაც არ უნახავს 26 მაისი ბოლშევიკურ რეჟიმში—მას არ უნახავს მგლოვიარე ერი მის უმწარესს წუთებში, მან არ იცის, რა ღრმა არის მწუხარება ეროვნული.

26 მაისი რელიგიური დღესასწაულია, 26 მაისს ქართველი ერი იხდის საღმრთო მოვალეობას.

რათ დაეუფლა ასეთი ძლიერებით 26 მაისი ქართველი ერის სულს?

—26 მაისი—ეს განაჩენია ისტორიის, დასკვნა წარსულის და გასაღები მომავლის.

26 მაისი აუცილებელი პირობაა ეროვნული სრულყოფისათვის. ამიტომ ის ისეთი საჭიროებაა ქართველი ერისათვის, როგორც ჰაერი ყოველი ცოცხალი ორგანიზმისათვის. ამით აიხსნება 26 მაისის აქტის ძლევამოსილება და არ არის ძალა ქვეყანასე, რომელსაც შეეძლოს ამ აქტის გაუქმება, რადგან მისი გაუქმება მოასწავებდა ერის სრულ ფიზიკურ განადგურებას—რაც წარმოუდგენელია.

დიახ! 26 მაისი ქართველი ერის უდიდესი დღესასწაულია. 26 მაისი წყაროა ეროვნული ბედნიერების და წარმატების. 26 მაისი თვით ბუნებაა ქართველი ერის.

—ამიტომ ფრთხილათ, მოწიწებით მოვეპყრათ მას!

და თქვენ, ჯალათნო ეროვნულ და ყოველგვარ თავისუფლებისა, თქვენ, რომელნიც მიზეზი ხართ დღეს ქართველი ერის მწუხარებისა, თქვენ, რომელნიც ასე უტიფრათ დასცინით ქართველი ერის უფაქიზესს გრძნობებს, თქვენ, რომელნიც სტკბებით—როს ერი გლოვობს და ნეტარობთ—როს ის სწუხს, თქვენ გეუბნებით—მოსკოველნო—მოციქულნო ბნელეთისა, თქვენი აღსასრული მოახლოვებულია!

ილია ნუცუბიძე.

# უცხოელები საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ.

## I.

თქვენი მთხოვთ—თქვენი გაზეთის «დამოუკიდებელ საქართველოს» საგანგებო ნომერში მივუძღვნა რამდენიმე სიტყვა საქართველოს დამოუკიდებლობის მერვე წლის თავს.

ეს არის ჩემთვის პატივიც და მწუხარებაც.

პატივი, ვინაიდგან—ამის საბუთს მაძლევენ თქვენი თანამემამულენი, რომელნიც ვნახე პარიზში—თქვენი ერი დიადია ღირსებით გულისა და ღირსებით გონებისა.

მწუხარებაც, ვინაიდგან ეს დამოუკიდებლობა, რომლის წლისთავსაც თქვენ დღესასწაულობთ, თქვენ გამოგლიჯეს და იმ ბედნიერებას, რომელიც თქვენთვის იყო ეგზომ ძვირფასი, დღეს თქვენ დასტირით.

თქვენი დაუმსახურებელი უბედობით ჩემი გული იწვის და ჰფეთქს თქვენდამი გულწრფელის თანაგრძნობით.

ყოველი მოწაფე საფრანგეთის რევოლუციისა განიცდის ტანჯვას, როცა ესმის, რომ თავისუფლების მოტრფიალე ადამიანი ჰკვნესის ბორკილებში. ეს ტანჯვა ბევრად უფრო მწვავეა მისთვის, როცა იგი ხედავს, რომ თავისუფლების მოტრფიალე ერი მოდრიკა ულლის ქვეშ უცხოელთა ძალადობამ.

მაგრამ ამ მწარე სევდას ზედ ერთვის სასოება.

თუ თქვენმა ერმა დაუმორჩილა ძალადობას თავისი სული ისე, როგორც იძულებულია დაუმორჩილოს მას თავისი ტანი, რადგან ფიზიკურად უფრო სუსტია, ვიდრე მტერი შემოსეული,—მაშინ ყველაფერი დაკარგულია.

მაგრამ შეიძლება ყველაფერი დაცული იქნეს იმ გარემოებით, თუ თქვენ არ შეურიგდებით ამ მწარე ბედს, რაც ძალად და უსამართლოდ თავს მოგახვიეს. დაბოლოს სამართალი ყოველთვის პირს იბრუნებს ხოლმე იმ ერისკენ, რომელიც მუდამ გაბედულად მოითხოვს თავის დამოუკიდებლობას და რომელიც მონობაშიაც კი უვლის თავგამოდებით და აღვივებს თავის ეროვნულ სულს. გადახედეთ ისტორიას, მოიგონეთ განთავისუფლება იტალიის, პოლონეთის.

მაშ მე სალამს ვუძღვნი თქვენს ხალხს თანაგრძნობით და იმედით. მინდა ვიცოცხლო იმდენი, რომ ტაში დავუკრა კეთილშობილი ქართველი ერის განთავისუფლებას.

ა. ოლარ—**A. Aulard.**

პარიზი.

◆

## II.

### თავისუფლებისათვის მებრძოლ ჩვენ ქართველ მეგობრებს.

26 მაისისათვის, თქვენი დამოუკიდებლობის დღისათვის ძმურ სალამს მოგიძღვნით. მე შემიძლია ვილაპარაკო მთელი ბრიტანეთის სოციალისტების სახელით, რომელთაც ქედი არ მოუხრიათ ბოლშევიკების ღვთაების წინაშე.

ჩვენი ულრმესი თანაგრძნობა ქართველ ხალხს და იმ ქართველ მამულიშვილებს, რომელნიც განდევნილ იქმნენ მათი საყვარელ სამშობლოდგან და ეხლა იძულებული არიან უცხო ქვეყნებში იცხოვრონ.

ერთმა დიდმა ინგლისელმა პოეტმა სთქვა: «ადამიანის ადამიანისადმი არა-ადამიანობა ათასთა და ათასთა გლოვას იწვევს.» ქართველი ხალხი თვითონ გრძნობს ამ სიტყვების სინამდვილეს. მისი უძველესი ქვეყანა შემოსეულ უცხოელთა რკინის ქუსლების ქვეშ გმინავს დღეს და მას თავის საკუთარ სახლში თავისუფლება აღარ აქვს.

საქართველოს დღეს უარს ეუბნებიან იმ დამოუკიდებლობაზე, რომელიც მთელმა კაცობრიობამ აღუთქვა. მაგრამ შეუძლებელია, მტარვალობამ სამუდამოთ შეირჩინოს თავის ტახტი. მოვა დრო, თავისუფლების იდეა გაიმარჯვებს და ერის ბრძოლაც თავისუფლებისათვის წარმატებით დაგვირგვინდება.

შეიძლება ეს ბრძოლა გაგრძელდეს, მაგრამ ის უთუოთ გამარჯვებით დამთავრდება. მოვა დღე და თავისუფალი ერის ბედნიერ სიმღერას საქართველოს მთები ხელახლათ გამოეხმაურებიან.

დღეს მთელ ევროპაში რეაქცია მძვინვარებს. მაგრამ ამავე დროს საგრძნობლათ თავს იჩენს ახალი სულისკვეთება, სულისკვეთება ადამიანობის, თავისუფლების და მორიგების, და როცა ეს სულისკვეთება გაალვივებს თავისუფლების ჩირაღდანს, თქვენი ისტორიული ერის უფლებებიც არ იქნება დავიწყებული.

«თვითგამორკვევის უფლება» აღარ იქნება მერმედ უბრალო სიტყვა, რომელშიდაც გახვეულია არა კეთილსინდისიერ სახელმწიფო მოღვაწეთა იმპერიალიზმი, არამედ გახდება პრინციპი ყველა საერთაშორისო ურთიერთობის.

დღევანდელ დღეს თქვენ სიბნელით ხართ მოცული, მაგრამ განთიადი დაგიდგებათ, თუ ბრძოლას განაგრძობთ.

ბრიტანეთის სოციალისტურ მოძრაობას ბევრით არაფრით შეუძლია დაგეხმაროს თქვენ დღეს, გარდა იმისა, რომ მთელი მისი გულითადი თანაგრძნობა თქვენსკენაა. მაგრამ დადგება დრო, იქნება შემთხვევა ნაყოფიერი მოქმედებისა თქვენდა დასახმარებლათ და თქვენი ქვეყნის გასანთავისუფლებლათ, მაშინ ჩვენს წვლილს ჩვენც შემოვიტანთ.

ამ დროებით კი ჩვენ თქვენს საკითხს მთელ ქვეყანას ვამცნობთ და ვისურვებთ იმ დღის მოახლოვებას, როცა საქართველო დაიჭერს თავის ადგილს თავისუფალ ერთა შორის, როგორც ამაყი, ბედნიერი და კმაყოფილი ერი.

ფილიპ სნოუდენი—**Philip Snowden.**

ლონდონი.

◆

## III.

არიან გზები, სადაც ქარიშხალი გადაივლის ხოლმე, და არიან გზები, სადაც მუდმივი მყუდროება სუფევს. ქართველების სამშობლო ბედმა მოათავსა იმ გზაზე, სადაც უხსოვარ დროიდან გადმოივლიდა ადამიანთა და ბუნების ქუხილი, ნიაღვარი, ცეცხლი, სიმშილი და სიკვდილი, და დროგამოშვებით ესტუმრებოდა ამ ყოველნაირად მშვენიერ ქვეყანას.

ასწილ უფრო საშინელი იყო და მწვავე საქართველოსთვის ადამიანის ვნებათა გადმოხეთქა. მისი სიმდიდრე დაუშრეტელ წყურვილს აღუძრავდა იმათ, ვისაც ენახა ან რამე გაეგონა მის შესახებ: ბერძნები, რომაელები, სპარსელები, თურქნი, არაბნი, მონგოლთა ურდოები, რუსები მოეშურებოდნენ აღმოსავლეთით და დასავლეთით საქართველოსკენ, მოხიბლულნი მისი სილამაზით, ან იმიტომ, რომ ლამობდენ მსოფლიოს დაპყრობას და კეძლუცი საქართველო იყო ამავ დროს კარი, რომელიც აერთებდა აღმოსავლეთს და დასავლეთს. ბედმა დააკისრა ქართველ ერს ამ კარის მცველი ყოფილიყო. ყოვლის უწინარეს ქართველებს ემუქრებოდნენ შემოსეული მტაცებლები და დამპყრობელები, რომელნიც სძარცვავდენ საქართველოს განძეულობას.

მხოლოდ ქართველი ხალხის გმირობის წყალობით იყო, რომ მონგოლთა ურიცხვი რაზმები საქართველოდან ჩრდილოეთისკენ მიბრუნდნენ და ამგვარად კონსტანტინოპოლი გადარჩა აოხრებას. მის მაგიერ რომ თავს დასხმოდნენ იტალიას და საფრანგეთს, ისინი მიადგნენ კასპიის ზღვის ნაპირებს ჩრდილოთ და მოედვნენ რუსეთის მინდვრებს. საქართველომ რამდენჯერმე შეაჩერა მრისხანე ლანგ-თემური. ქართველობის მამაცობას უნდა უმადლოდეს ევროპა, რომ იგი არაა დღეს მაჰმადიანური ქვეყანა, და ოსმალეთი და სპარსეთი იმისთვის, რომ თავიანთი დამოუკიდებლობა შეინარჩუნეს რუსეთისაგან; შესაძლებელია, რუსეთმა იმიტომ ვერ დაიპყრო ინდოეთი, რომ მეტად ჩაბმული იყო ომებში კავკასიისა და საქართველოსათვის.

თამამად შეიძლება ვუწოდოთ საქართველოს ორი ქვეყნის თერმოპილე. ხოლო ლეონიდი დარწმუნებული იყო, რომ თავის დალუპვით გამოისყიდიდა საბერძნეთის სიმშვიდეს და დამოუკიდებლობას, და ეს იყო მისი ნუგეში, იმედი და სიხარული.

როდისღა დადგება დრო, რომ ევროპა და მასთან მთელი მსოფლიო, შეიგნებს, თუ რა დაუფასებელი მნიშვნელობა ჰქონდა მისი თავისუფლებისა და განვითარებისათვის ქართველების ბრძოლას სხვადასხვა გვარის დამპყრობელთა ძალმომრეობასთან?

როდისღა აღმოუჩენენ დახმარებას ევროპა და მთელი ქვეყანა მათი პოლიტიკური კარების დამცველებს, უზრუნველყოფენ მათ მშვიდობიან ცხოვრებას, მათ დამოუკიდებლობას?

მრწამს ღრმად, რომ ადრე თუ გვიან ეს დრო დადგება, წინააღმდეგ შემთხვევაში ეჭვი უნდა შევვეპაროს სიმართლის საბოლოო გამარჯვებაში დედამიწაზე. არა, სიმართლე გაიმარჯვებს და მაშინ საქართველო აყვავდება და მისი შუბლგაშლილი შვილები, მზის სხივებით შემკულნი, სავსებით შეხარებენ თავის უცხო ყანებს, ვენახებს, ტყეებს და მთებს და გრძნობა მტკიცე მყუდროებისა და მშვიდობიანი მუშაობისა დამკვიდრდება ცივილიზაციის დამცველთა და კავკასიის რაინდების ამაყ გულებში!..

ვაცლავ სეროშევსკი—**Waclaw Sieroszewski.**

ვარშავა.

◆

## IV.

### სადღესასწაულო მილოცვა საქართველოს ამერიკისაგან «იქონიე მოთმინება და სიმტკიცე».

უძველეს დროს ამერიკელები თვითონ აკმაყოფილებდნენ თავისთავს, იმიტომ რომ იძულებულნი იყვნენ, მაგრე მოქცეულიყვნენ. 3000 მილის ოკეანემ გაჰყო ნამდვილი დამაარსებელნი ამერიკისა და სამშობლო—ინგლისი, რომელიც მხოლოდ სახელით განაგებდა მათ. სამი საუკუნის წინეთ იძულებულნი შეიქმნენ თავისთავისათვის ეპატრონათ, შეედგინათ მმართველობის გეგმა, განევითარებიათ სოციალური სისტემა, შეედგინათ სქემები ადგილობრივ მტრებისაგან თავდასაცავად. სამი შთამომავლობის შემდეგ, როდესაც გადასახლებული მამები დაბინავდნენ **Massachusett**'-ში და ვირჯინიაში, კოლონიის ქალებმა დაიწყეს ამერიკელების გამოცხადება: იგინი არ იყვნენ ინგლისელები, მაგრამ პოტენციალური ადამიანები, რომლებიც ლაპარაკობდნენ იმავე ენაზე და მოქმედებდნენ იგივე საერთო კანონის ქვეშ; მათ ჰქონდათ იგივე წესი აზროვნებისა, იგივე ნდობა თვისი თავისა, დისციპლინა, რომლებიც ყველა ერთად ქმნიან თვითმართველობას. ამერიკელების საუფროსო უვლება იყო ინგლისური, ე. ი. ანგლოსაქსონ-კელტიური და იგი ყოველთვის იყო და დარჩება ანგლო-საქსონ-კელტიური, სანამ ამერიკელები ამერიკელები იქნებიან და მათი მთავრობა ამერიკული. ატლანტიურ ოკეანემ გადაარჩინა ამერიკა ევროპას და ჩაუნერგა მას ერთი განსაკუთრებული შეხედულება ცხოვრებაზედ: შნო საქმიანობისა, ინდივიდუალიზმი და თავისებური ჩვეულება და კულტურა, რომელიც დარჩა მის საკუთრებად; ამ თვისებებით განსხვავდებიან ადგილობრივი ამერიკელები ყველა სხვა ერებისაგან. ზღვის განუსაზღვრელმა სივრცემ თითქმის შეუძლებლად შექმნა, რამე ძალა დაეტანებინათ ამერიკისათვის, გინდ საეკლესიო (რომელიც ყველაზე უარესია) გინდ მმართველობით დარგში—რომელიც ძნელი იყო.—ჩვეულებრივ განვითარების მიმდინარეობაში, ამერიკელებმა დაიწყეს ბრძოლა, ჯერ ინდიელების და ფრანგების წინააღმდეგ, თავიანთ ამორჩეული მიწა-წყლის შესანარჩუნებლად, შემდეგ თავისუფლებისათვის ინგლისის წინააღმდეგ, რომელსაც ეხმარებოდნენ იგივე ფრანგები და დაამარცხეს, შემდეგ ბუნებრივ დასავლეთ და სამხრეთ ტერიტორიულ ხაზების გასაფართოვებლად, და ბოლოს თავიანთ ეროვნულ პოლიტიკის და სულიერი მთლიანობის დაარსების სამუდამოდ შესანარჩუნებლად.

ამერიკელებს, რომელნიც პირველად იყვნენ რამოდენიმე ასეულნი, ეჭირათ 1620 წელს მხოლოდ რამოდენიმე ოთხკუთხედი მილი მიწისა, ხოლო რამოდენიმე წლის წინეთ სამი და ნახევარი მილიონი მილი ეჭირათ 115.000.000 ადამიანს. იგინი ყოველთვის იყვნენ წინამძღოლნი, და ვინაიდან პიონერები იყვნენ, ადრე შეიძინეს ჩვეულება სტუმართმოყვარეობის, მეზობლობისა და იმ ქველმოქმედების, რომელიც არის ადამიანური თვისება და სიყვარული, თანაგრძნობა გაჭირვებულისადმი. აქედან განვითარდა უნივერსალური საყოველთაო გრძნობა, რომელმაც აძულა ამერიკა დახმარებოდა საბერძნეთს ბრძოლაში დამოუკიდებლობისათვის, დახმარებოდა ცენტრალური, სამხრეთ ამერიკის და მექსიკის რესპუბლიკებს. ამავე სულის წყალობით, აზრათ არც კი ჰქონი მიწის შეძენა, ამერიკელები შეუდგნენ საქმეს და ბევრი სისხლი და ფული დაუჯდათ, რომ გაენთავისუფლებიათ კუბა და შეასწავლეს ფილიპეს კუნძულების ხალხს, თავის ცოდნის და გამოცდილების მიხედვით, დაწყობილი თვითმმართველობის წესები. ბოლოს იმავე გრძნობამ აღძრა ამერიკელები და მთელი თავიანთი ძალღონით მიიღეს მონაწილეობა საქვეყნო დავაში. მათ არავითარი სარგებლობა არ მიუღიათ, მაგრამ მსხვერპლი კი ბევრი გაიღეს.

ეხლა, როდესაც ჩვენ კარგად გავიცანით, თუ რა არის თავისუფლებისათვის ბრძოლის სიმწარე და საშინელება, როდესაც ღმერთმა დაგვაჯილდოვა უდიდეს სიმდიდრით და ამის გამოც ყოველთვის მუდმივი ნატვრის საგანი შევიქენით, და როდესაც შევწირეთ მილიონზე მეტი სიცოცხლე ჩვენი და ჩვენი მემკვიდრეობის შესანარჩუნებლად, განა საკვირველია, რომ ამერიკელები სიმპატიით ვუყურებდეთ საქართველოს და მის ძმობილ რესპუბლიკებს კავკასიაში, რომელთაც ასე ძლიერ ჰსურთ თავისუფლება, საკუთარი მთავრობანი, საკუთარი ცხოვრება და არა გადასკვნილი ბოლშევიზმის ცოცხალ გვამთან?? განა საკვირველია, რომ ამერიკა, რომელსაც ახსოვს თავისი საკუთარი რევოლუციონური ომი, ომი თავის ღირსების შესანარჩუნებლად, მსოფლიო ომი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო, და არავითარი ვაჭრული მიზანი არა ჰქონია, გულცივად შეხედოს თავის თანამემამულეების მცირე ჯგუფს, რომელიც ცდილობს ექსპლუატაცია გაუკეთოს საქართველოს რესპუბლიკის ბუნებრივ სიმდიდრეს, ქართველი ხალხის დაუკითხავად და ღვთისა და ადამიანთა კანონების წინააღმდეგ?..

ამერიკელები თანაუგრძნობენ ქართველებს, რადგან ესმით, რომ არავითარი საბუთი, სულ პატარა საბუთიც კი არა ჰქონდა საბჭოთა რუსეთს, დაერღვია 1920 წ. მაისის 7-ის ხელშეკრულობა და მოესპო საქართველოს დამოუკიდებლობა.

მე ვსთქვი, რომ ამერიკელები არიან პიონერები; პიონერთა სული კიდევ ცოცხალია ამერიკულ მოქმედებაში, ნამდვილი ამერიკელები კიდევ გრძნობენ ინტუიციის სახით რაღაც იმპულსს იმ დღეებისას, როდესაც ძლიერი იცავდა სუსტს, როდესაც ამერიკელი უზიარებდა ლუკმა-პურს, ტანსაცმელს და თავშესაფარს იმ მგზავრს, რომელსაც არაფერი გააჩნდა. ამერიკელებს კიდევ ახსოვთ ის დრო, როდესაც მათი წინაპრები სწავლობდნენ გამოცდილების მწარე სასწავლებლებში. «მე ვარ ჩემი ძმის მფარველი» და «შენ გეყვარება შენი მეზობელი, ვითარცა თავი შენი»—არ იყო მხოლოდ უბრალო სიტყვა, არამედ ოჯახის ადათი, ეროვნული და საერთაშორისო კანონი. მაგრამ მხოლოდ სიტყვებით გამოთქმული თანაგრძნობა უნაყოფოა, და საქართველოს საკითხი წამოყენებულ იქმნა ამერიკის ხალხის წინაშე კონგრესზე, რეზოლუციით, რომელიც შეიტანეს წარმომადგენელთა პალატის წევრმა, ვირჯინიის დეპუტატმა—რ. ვუალტონ მურმა და ნიუიორკის სენატორმა როიალ ს. კოპლენდმა.

შედეგი ასეთია: დღეს ამერიკა ბევრად უკეთ იცნობს საქართველოს, ვიდრე როდისმე. საქართველოს უბედურება იყო მხოლოდ ისეთი, რომელიც შეიცავს დადებით თვისებებს, რომელმაც გამოიწვია მდუმარება და არა ოხვრა და წუწუნი. მამაცმა ქრისტიანმა ერმა აიტანა უსამართლობა და შეურაცხყოფა ჩუმად, უსიტყვოდ, არავის შესჩივლა, არ ეძიებდა ნუგეშს გარშემო სხვებსავით, რომლებმაც ტირილით და ოხვრით გამოიწვიეს ამერიკელთა ხელგაშლილობა. ამ შემთხვევაში ქართველი ერი ერთად ერთია, რომელმაც საუკუნეთა მანძილზედ მხნედ აიტანა ურიცხვი ომი, მსხვერპლი და მედგრად იდგა თავის მიწაზედ და დაიცვა 30 საუკუნის განმავლობაში. განა არ არის მოსალოდნელი, რომ ამერიკელები გაუწოდებენ დამხმარე ხელს ამისთანა ხალხს?

რაც წარმოთქმული იქმნა ვ. მურის რეზოლუციაში, ნათლად გამოხატავს ღრმა და მუდმივ თანაგრძნობას ქართველებისადმი. წარმომადგენელთა პალატის საგარეო საქმეთა კომიტეტში, რომლის თავმჯდომარეა ბ-ნი სტეფენ პორტერი, ორსავე სხდომაზედ, 17 წევრმა წინააღმდეგ ორისა ის აზრი გამოსთქვა, რომ პრეზიდენტს მიეცეს ნება დანიშნოს დიპლომატიური წარმომადგენელი საქართველოს ეროვნულ მთავრობასთან, როცა ამას საჭიროდ დაინახავს. კომიტეტმა ჯერ არ უყარა კენჭი ასეთ წინადადებას; საერთო პოლიტიკის მდგომარეობის მიხედვით, შესაძლებელია არავითარი კენჭის ყრა არ მოხდეს, სანამ არ განახლდება კონგრესის მუშაობა ამა წლის დეკემბრის პირველ ორშაბათს, მაგრამ რაც არ უნდა იქნეს, მე ერთხელ კიდევ მინდა მივაქციო ყურადღება იმ ფაქტს, რომ საგარეო საქმეთა კომიტეტმა გარდა ორი წევრისა გამოსთქვა თავისი ღრმა თანაგრძნობა ქართველი ხალხისადმი. თუ ამერიკის შეერთებულ შტატებმა მიიღეს რაიმე პრინციპი, როგორც მოქმედების კანონი, ეს ნიშნავს: «იქონიე მოთმინება და სიმტკიცე!» ნება მომეცით ურჩიო ეს ჩემს ქართველ მეგობრებს.

საქართველოს დამოუკიდებლობა იცნეს დიდმა სახელმწიფოებმა, ამერიკის ხალხმა კონგრესში შეტანილ რეზოლუციით გამოსთქვა სრული თავისი თანაგრძნობა ქართველი ერისადმი—ეს არის გზა, რომელიც შეაძლებინებს საქართველოს აღადგინოს თვისი დამოუკიდებლობა და დაუმტკიცოს ქვეყანას, რომ მას აქვს ნიჭი თავის თავის პატრონობისა და განვითარებისა.

1776 წლის 4 ივლისის ამერიკა მიესალმება 1918 წლის 26 მაისის საქართველოს და უსურვებს დიდებულ მომავალს და დღეგრძელობას.

ჯონ ეპლეტონ სტუარტ.
**John Appleton Stewart.**

თავმჯდომარე გიორგ ვაშინგტონის საზოგადოებისა.
თავმჯდომარე ვაშინგტონ-ლაფაიეტის ინსტიტუტისა.
წევრი კავკასიის საზოგადოებისა ამერიკაში.

◆

## V.

### საქართველოს უფლება დამოუკიდებლობისა.

საქართველო ფორმალურად დღეს «თავისუფალი» სახელმწიფოა, რომელიც «ფედერატიულად» არის შეკავშირებული დიდი რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკასთან ნება-ყოფლობით დადებულ ხელშეკრულობის ძალით. ნამდვილად კი ეს ხელშეკრულობა საქართველოს ომით დაადებიეს,—ომით, რომელიც საბჭოთა რუსეთმა 1921 წელს აწარმოვა მაშინდელ სა-

### ამ ნომერში რვა გვერდია.

ამ ნომრისთვის დაწერილი ბ.ბ. ედგარ მილის და ჟან მარტენის წერილები დაგვიანებით მივიღეთ და დავბეჭდავთ შემდეგ ნომერში.

---

ქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის წინააღმდეგ იმ მიზეზით, თითქოს ამ რესპუბლიკის მიერ დაჩაგრულ სოციალისტურ ელემენტთა განთავისუფლება ყოფილიყოს მისწრაფება საბჭოთა რუსეთისა.

დაწვრილებითი მოთხრობა ამ ომის ამბებისა და გამოკვლევა მისი წარმოშობისა შორს წაგვიყვანდა. შევნიშნოთ მხოლოდ, რომ ომის წინამორბედი იყო აგიტაცია საქართველოში უმეტეს ნაწილად ახლად შემოხიზნულ რუსულ კომუნისტურ პარტიის მიმდევართა, რომელთაც ფულით ეხმარებოდა ეს პარტია. იგინი მოქმედებდნენ საქართველოს წესწყობილების დასანგრევად და საქართველოს მთავრობაც ამიტომ იძულებული იყო საჭირო ზომები მიეღო თავის დასაცავად. რომ საბჭოთა რუსეთის მთავრობა, რომელიც თავის საკუთარ ქვეყანაში არც ერთ სხვა პარტიას, რაც თუ გინდ სოციალისტურად ყოფილიყო იგი განწყობილი, არავითარ მოძრაობისა და მოქმედების თავისუფლებას არ ანიჭებდა, ყველაზედ უფრო ნაკლებად იყო მოწოდებული, მეზობელ ქვეყანაში გამოსულიყო იქაურ ოპოზიციურ პარტიათა განმათავისუფლებლად,—ამას ბევრი მტკიცება არ უნდა. ეს ვითომცდა განმათავისუფლებელი ომი იყო ნამდვილად ომი დაპყრობისათვის.

მაგრამ დაპყრობის მიზნით ნაწარმოებ ომებისათვისაც მოიპოვებიან ხოლმე გამართლებანი. ბევრი ამართლებს ასეთ ომებს, თუ იგინი, მაგალითად იმ მიზნით იქმნენ ნაწარმოებნი, რომ, ნაცვლად ხან ცხადისა და ხან ფარული მტრობისა მეზობელ სახელმწიფოს მხრივ, ნამდვილი მშვიდობიანობა ჩამოვარდება მასთან. მაგრამ აქ ამაზედ ლაპარაკიც არ შეიძლება, რადგანაც საქათველოს რესპუბლიკამ თვისის საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელ აზრად გაიხადა, რომ მუდამ და შეძლებისდაგვარად მეგობრული განწყობილება ჰქონოდა მეზობელ რუსეთის დიდ სახელმწიფოსთან, და მუდამ მზად იყო, ამ აზრის განსახორციელებლად მსხვერპლი გაეღო.

სხვები კიდევ დიდ სახელმწიფოთა დაპყრობის ომებს პატარა სახელმწიფოთა წინააღმდეგ მითაც ამართლებენ, რომ პატარა სახელმწიფოთა არსებობა გაფლანგვაა შრომის ძალისა და ახალი დროის დიდი კულტურულ მიზანთა განხორციელების ხელისშემშლელიო. როგორც წვრილი მრეწველობა უნდა მოისპოს სამეურნეო ცხოვრებაში, ისე პატარა სახელმწიფოების ისტორიული ბედი გაქრობა არისო.

ამ შეხედულობის წინააღმდეგ, რომელმაც საქვეყნო ომის დროს გერმანიის სოციალ-დემოკრატიის რამოდენიმე წევრიც შეიპყრო, მე უკვე მაშინვე სასტიკად გავილაშქრე. კ. კაუცკის მიერ გამოცემულ «Neue Zeit»-ში გამოვაქვეყნე წერილი: «პატარა სახელმწიფოთა ისტორიულ უფლებისათვის», რომელშიაც ვამტკიცებდი, რომ სამეურნეო ცხოვრებაში წვრილი მრეწველობა არც ისე სრულიად ზედმეტია და გასაქრობად განწირული, როგორც ბევრსა ჰგონია, თითქოს ეს გამოდიოდეს კ. მარქსის ნაწერებიდან; არამედ იგი, გვარიან დიდ ნაწილად, შეავსებს ფუნქციებს დიდის მრეწველობისას, საზოგადოებისათვის ფრიად სასარგებლოდ. მე აღვნიშნე, რომ ოფიციალურ სტატისტიკის მიხედვით, თუმცა დიდი მრეწველობა, წარმოების ზრდასთან ერთად, ჩრდილავს სივრცით საშუალო და წვრილ მრეწველობას, მაგრას ეს უკანასკნელნი მაინც ძველს სიმაღლეზედ ინახავენ თვის მიერ მოპოვებულ ადგილს სამეურნეო ცხოვრებაში. შემდეგ მე ვამტკიცებდი, რომ პარალელიზმი მრეწველობისა და სახელმწიფოს შემოქმედებით ძალთა შორის, როგორც ესა ჰგონია ზემოხსენებულ თეორიას, სრულიადაც არ არსებობს; არ არსებობს აუცილებელი შინაგანი დამოკიდებულება სახელმწიფოს სივრცესა და მისი მეურნეობის განვითარების სიმაღლესა და ძალსა შორის. აი რა სწერია სიტყვა-სიტყვით ჩემს წერილში: «სამრეწველო და სავაჭრო საქმე და მათი განვითარება დამოკიდებულია სიდიდისაგან იმ ბაზრისა, რომელიც მათ განკარგულებაშია, და არა სიდიდისაგან იმ სახელმწიფოისა, რომლის საზღვრებშიაც იგინი არსებობენ. სახელმწიფოს სავაჭრო პოლიტიკას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა მისი წინსვლისათვის და არა მის მსოფლიო-პოლიტიკურ სიძლიერეს.»

ეს სრულიად ნათლადა სჩანს ერთა შედარებითი სამეურნეო ისტორიიდგან. და კიდევ უფრო ნათელი სურათი წარმოგვიდგება თვალ წინ, თუ დიდ სახელმწიფოთა და პატარა სახელმწიფოთა მთელი რიგის კულტურულ ნამოქმედართ შევადარებთ ურთი-ერთს. ჩემს წერილში სწერია: «სრულიად სხვა იქნება ხარისხთა რიგი სახელმწიფოთათვის, როდესაც ჩვენ მათ შევადარებთ მეურნეობისა და კულტურის სიმაღლის მხრით, ვიდრე როდესაც ჩვენ მათ შევხედავთ სივრცისა, სამხედრო ძლიერებისა და მსგავსი მხრით». 1912 წლის ბოლოში ბელგიას, რომელიც სივრცის მხრით ევროპის 12 სახელმწიფოთა შორის უმცირესია, თვითოეული 10.000 მცხოვრებისათვის ჰქონდა უდიდესი სიგრძე რკინის გზათა, ვიდრე რომელიმე დიდ სახელმწიფოს, ე. ი. 29.3 კილომეტრი. წერილების მიმოსვლის მხრივ, მცხოვრებთა რიცხვის მიხედვით, მას ეჭირა მესამე ადგილი. რაც შეეხება კულტურულ განვითარებას, ამ სიტყვის განსაკუთრებითი მნიშვნელობით, პატარა სახელმწიფოები ამ მხრივაც სრულიად არ ჩამოუვარდებიან დიდ სახელმწიფოებს. არ არის სულიერი შემოქმედების არც ერთი დარგი, რომელშიაც ქვეყანას დიდმნიშვნელოვანი რამ არა მიეღოს პატარა სახელმწიფოებისაგან, და ხშირად სწორედ პატარა სახელმწიფოებიდან გამოსულა ხოლმე ძლიერი და ეპოქის—შემქმნელი ინიციატივა. აი კიდევ რა სწერია ჩემს ზემოხსენებულ წერილში და ყოველთვის მზადა ვარ, მეცნიერებათა, სიტყვა-კაზმულ მწერლობისა და სწავლა-განათლების საქმის ისტორიით იგივე დავამტკიცო:

«სკანდინავიის ქვეყნებს, ორ ნიდერლანდის ქვეყანას და შვეიცარიას უშესანიშნავესი შემოქმედებითი ღვაწლი მიუძღვისთ ბუნებისა და კულტურის მეცნიერებაში, ხელოვნებაში და მწერლობაში; მთელი რიგი დიდ კაცთა, განთქმული სახელი მათ უმაღლეს სასწავლებელთა, ამ ქვეყანათა უმეტეს ნაწილშია აგრეთვე მაღალი ხარისხი სწავლა-განათლების მოწყობისა და განვითარებისა,—ყოველივე ეს, მოწმობს, რომ მათი თანამშრომლობა კაცობრიობის კულტურის შესაქმნელად ნაყოფიერია. დიდ სახელმწიფოთა მკვიდრთ არავითარი საბუთი არა აქვსთ საშუალო და პატარა სახელმწიფოთა მკვიდრთ დიდგულად ზემოდან დასცქეროდენ. მრავალნი ამ უკანასკნელთაგანნი შედარებით ბევრად უფრო მეტსა ჰქმნიან კულტურულ წინსვლისათვის, ვიდრე პირველნი».

რასაკვირველია არის ისეთი მიზნებიც, რომელსაც პატარა სახელმწიფოები ვერ ალასრულებენ საშუალებათა სიმცირის გამო. მაგალითად ზოგიერთი განახლება მისვლა-მოსვლის ტეხნიკის დარგში მათთვის შეუძლებელია. სამაგიეროდ უმეტესი მათგანი თავგამოდებით მებრძოლია ისეთ საერთაშორისო სამართლის შექმნისათვის, რომელიც მაღლა უნდა იდგეს ცალკე სახელმწიფოებზედ და რომელმაც უმაღლეს ხარისხამდე უნდა განავითაროს სამეურნეო და სულიერი განწყობილებანი ერთა შორის.

აგრეთვე შემდეგ ადგილს ვიმეორებ ჩემის წერილისას, სრულის რწმენით:

«გეგმა ძველი ქვეყნის მიერ გადმოცემულ სახელმწიფოთა სისტემის რეფორმისა თანამედროვე ფედერალიზმის, ე. ი. კავშირის პრინციპის ნიადაგზედ, რომელიც არავითარ პარტიკულარიზმს არ მოერიდება,—ეს ნამდვილი რევოლუციური აზრი არსად არ პოულობს ისეთს ღრმა თანაგრძნობას და მის განხორციელებას არსად არ მოითხოვენ ისეთის ძლიერის სურვილით, როგორც აქ» (ე. ი. პატარა სახელმწიფოებში). რასაკვირველია ისიც მოხდა, რომ ახლად შექმნილმა პატარა სახელმწიფოებმა დიდ სახელმწიფოთა აგენტების გავლენით ერთა კავშირის აზრს ვნება მიაყენეს, მაგრამ ეს იყო ცალკე შემთხვევები, რომელიც დიდ მოძრაობას ვერ შეაფერხებს. დიდი უმეტესობა პატარა სახელმწიფოთა მაინც ჰხედავს, რომ მათი არსებობისა და თავისუფალი განვითარების ყველაზედ უფრო საშიშარი მტრები არიან ძლიერების წყურვილი და მუდმივი შეიარაღება დიდ სახელმწიფოთა იმპერიალიზმისა, რა ფორმითაც არ უნდა გამოცხადდეს ეს უკანასკნელი. პატარა სახელმწიფოები ეძებენ ამიტომ საწინდარს მათის ხელშეუხებლობისას და თავისუფალ გავითარებისას არა რომელიმე დიდ სამხედრო ძალასთან კავშირში, რაიცა დამყარებულია მდაბალ მლიქვნელობაზედ, არამედ, განვიმეორებთ კიდევ, საერთაშორისო სამართლის შექმნაში და განმტკიცებაში, რაიცა არის, როგორც ეს მე სხვა ადგილას გამოვსთქვი, საფუძველი და წინასწარი პირობა თავისუფალ ერთა ძალების შეერთებისა და დიდი საერთო მოქმედებისა კაცობრიობის წინსვლისათვის.

ეს აზრები იყო, რომელიც აღავრთოვანებდა აგრეთვე იმ პირთ, რომელნიც თავში უდგენ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას და მის პოლიტიკას აწარმოებდენ. პირველი მინისტრთა თავმჯდომარე ამ რესპუბლიკისა ნოე ჟორდანია და მისი თანამშრომლები: ახმეტელი, გეგეჭკორი, ჩხეიძე, ჩხენკელი, წერეთელი—მოვიხსენიოთ აქ მხოლოდ ეს რამოდენიმე პირი მაშინდელ მებრძოლთა შორის—იგინი ნამდვილი საერთაშორისო აზრთა მატარებელი სოციალისტები იყვნენ, რწმენით აღსავსე მიმდევარნი სოციალისტურ დემოკრატიათა საერთაშორისო კავშირის აზრისა. სანამ მათ შეეძლოთ, გავლენა ჰქონოდათ თავიანთი ქვეყნის საგარეო პოლიტიკაზედ, ეს პოლიტიკაც მიზან-შეწონილად, ამ პრინციპის მიხედვით იყო ნაწარმოები. და ამიტომაც მარტო საქართველოს შინაგან განვითარების მხრივ კი არა, არამედ უმეტესად ევროპის საერთაშორისო პოლიტიკის განვითარების მხრივ არის ძლიერ სამწუხარო, რომ მათ და მათ ამხანაგებს საშუალება წაერთვათ, თავიანთი ჭკუა და ნიჭი თავიანთვე სამშობლოში ამოქმედონ.

ედუარდ ბერნშტეინი—Eduard Bernstein.
ბერლინი.



საქართველოს დამოუკიდებლობა

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი

ACTE DE L'INDEPENDANCE

### საქართველოს გაზაფხულისათვის.

1908 წელი. შემოდგომა. თბილისი. მაშინ სახაზინო თეატრი. აკაკის იუბილე. მახსოვს ეს დღე—დღე ქართული კულტურისა, დღე, როდესაც ერი სიყვარულით მადლობას უძღვნიდა 50 წლის მუშაობისათვის სამშობლოს განთავისუფლების მომღერალს, «სულიკოს» მოტრფიალეს.

ეს იყო დღე საქართველოს მთლიანობის...

უზარმაზარი დარბაზი, ხალხით გაჭედილი აღფრთოვანებით და სიხარულით შეჰყურებს თავის აკაკის.

მოხუცი მგოსანი ტახტზე ზის, მსგავსი ძველ საბერძნეთის მითიურ გმირებისა. მას გარს ახვევიან ძველი და ახალი მწერლები, საზოგადო მოღვაწენი—წარმომადგენელნი მთელი ქართველი ხალხისა.

აღფრთოვანებული სიტყვები, ლაქსები,—ვაშა.

ოფიციალური მილოცვები, გრძელი წერილები, დეპეშები. შუაღამე გადასულია.

დაიღალა აკაკი. დაიღალა ხალხიც.

სურათია: იუბილიარი ეკითხება ვალერიან გუნიას: «აღარ გაათავებთ?! დავიღალე!» «შე დალოცვილო 50 წელიწადია შენ ხელში ვართ, არ შეგიძლია ერთი დღე ჩვენ ხელში გასძლო?!.. მალე გავათავებთ, მალე!»—მხიარულად უპასუხებს მსახიობი.

აკაკი იღიმება თავისი მშვენიერი, მაგრამ დაღლილი ღიმილით. იცდის. ხალხსაც უკვე აშკარად ეტყობა დაღლილობა: დარბაზში ისმის ლაპარაკი, ზოგი მზად არის წასასვლელადაც.

ზეიმი ბოლოვდება....

და აგერ აცხადებენ: სიტყვა იუბილიარს ეკუთვნის.

წამსვე იცვლება სურათი: ჰქრება მოქანცულობა აკაკისა, ხალხისა. მათ შორის უხილავი ძაფებით ებმება დიადი გრძნობა გაერთიანების, ერთი ნების-ყოფისა.—დარბაზში ისმოდა მგოსანის მკვეთრი ხმა. ხალხი სულგანაბული უსმენდა მას. ერის გულის მესაიდუმლე, მისი მომღერალი საქართველოს მებრძოლ შვილებს სალამს უგზავნიდა.

ის მოუხმობდა ტარიელს, ავთანდილს და ფრიდონს ქაჯეთის ციხიდან ნესტან-დარეჯანის განსათავისუფლებლად.

ინით ილებავდა მოხუცი ჭალარას და ჩირაღდნით ხელში გზას უნათებდა ერს მომავლისაკენ.

მგოსანი წინასწარმეტყველებდა... მისი გრძნობის უხილავი კვერთხი აპობდა ზღვას უვიცობისას, უიმედობისას...

და შორით იხატებოდა დიადი სურათი: განთავისუფლებული საქართველო, გამარჯვებული ხალხი, თბილისი მეტეხით...

ისმოდა ბრძოლის სიმღერა:

«კავკასიის ქედზე იყო ამირანი მიჯაჭვული,
ყვავ-ყორანი ესეოდა, დაფლეთილი ჰქონდა გული...
დრო მოვა და თავს აიშვებს ამირანი მიჯაჭვული».
«არა, აყვავდეს იმედი, გულს ვერ გამიტეხს ჭალარა,
გმირებს დაეძებს, უყივის ჩემი დაფი და ნაღარა»!—აღფრთოვანებით გაათავა აკაკიმ...

მთელი ხალხი უკვე ფეხზე იდგა. ისმოდა სიხარულით ცრემლმორეული ძახილი: «საქართველოს გაუმარჯოს!», «გაუმარჯოს ჩვენს აკაკის!»

აქ გრძნობის მეფე ერს წინამძღოლობდა, საქართველოს მომავალ ისტორიის სტრიქონებს სწერდა. და ხალხი მასთან იყო.

დიახ, ეს იყო დღე საქართველოს მთლიანობის...

1915 წელი. აკაკის სიკვდილი და დასაფლავება. ჩვენ გვახსოვს ეს დიდი მომენტი...

თბილისის ერთ-ერთ დიდ დარბაზში კრება არის, საქართველოს ყველა კუთხის წარმომადგენლების:—ერი მიწას აბარებს თავის უძვირფასესს შვილს, ის მთლიანია თავის გრძნობების გამოხატვაში თავის დიდ მგოსნის წინაშე.

რა უნდა იყოს სიმბოლო ამ მთლიანობისა?!...

კრება ერთხმათ ადგენს: აკაკის საფლავი დაამშვენოს ერთმა გვირგვინმა და ეს გვირგვინი მთელი ქართველი ერის სახელით უნდა მიეძღვნას მის საყვარელ მგოსანს.

ვინ უნდა იყოს საქართველოს ამ ერთსულოვნობის გამომსახველი?

ილაპარაკებენ: ნიკო ნიკოლაძე, ევგენი გეგეჭკორი, კიტა აბაშიძე...

დასაფლავების კომიტეტის საპატიო თავმჯდომარე, ერთი გვირგვინით რომ შეამკობს საქართველოს სახელით აკაკის საფლავს, იქნება ნოე ჟორდანია...

მგოსნის საფლავზე ქართველი ერი სჭედდა თავის მომავალ ბედს, იწყებდა ახალი გზის ძებნას...,

სიცოცხლით სიკვდილი ითრგუნებოდა, წუთიერი მარადიულით იფარებოდა...

მთელი საქართველო მისდევდა უკან აკაკის კუბოს, შემკულს ყვავილებით.

მისი სახელით უკანასკნელ მატერიულ ბინას მგოსნისას ამშვენებდა ერთი გვირგვინი, რომელიც მისივე სახელით ხელში ეპირა ნოე ჟორდანიას...

მამა-დავითს მიაბძანეს საქართველოს დიდი მგოსანი.

ილიას ახლო ნახა მან თავისი უკანასკნელი დასასვენებელი
—იქ, სადაც «მთვარის შუქში გახვეული მსუბუქ სიზმარივით
მოსჩანს მტკვარი და მეტეხი თეთრად მოელვარე»,
სადაც «მწუხარე სასაფლაოს ვარდით გვირილით
ეფინება ვარსკლავების კრთომა მხიარული»,
სადაც «ბარათაშვილს უყვარდა ობლად სიარული».

ჩვენ აქ კვლავ ვიხილეთ საქართველო, მთლიანი თავის ნების გამოხატვაში...

——

26 მაისი 1918 წელი. გაზაფხული. პირველი ქართული პარლამენტი.

განთავისუფლებული დამოუკიდებელი საქართველო. ერის წარმომადგენლები—ერის, რომელიც თავის ბედს დაეპატრონა.

«სიზმარი» ცხადად იქცა, სიმბოლოებმა რეალური სახე მიიღო.

ტარიელ, ავთანდილ, ფრიდონმა ქაჯეთის ციხიდან გაანთავისუფლეს ნესტან-დარეჯანი.

მიჯაჭვულ ამირანმა, ადამიანისათვის რომ ღმერთს ცეცხლი მოსტაცა, ბორკილები დაამსხვრია, არწივი მოიშორა და მზეს კვლავ შეხედა საბედნიეროთ.

ერმა თავისუფლათ ამოისუნთქა.

ამოისუნთქა და იწყო სიარული თავისუფალი გზით.

და ეს იყო საქართველოს მთლიანობის და ერთსულოვნობის დიდი ხანა...

——

დამფუძნებელი კრება. ერის მიერ ბელადათ არჩეული ლაპარაკობდა.

ჩვენ ყველას გვახსოვს ეს დიდი მომენტი ის ლაპარაკობდა მთელი საქართველოს სახელით. ერის წარსული, აწმყო, მომავალი—საქართველოს ისტორია—იშლებოდა აქ, ამ მოკლე სიტყვაში.

ჩვენ გვკითხავენ: ვინ ხართ? რა მოგაქვთ?...

მტკიცედ და თამამათ ვუპასუხებთ:

ჩვენ ვართ ერი, რომელსაც მოაქვს 2000 წლის კულტურა, მოაქვს თავისი თავი, ერი, რომელსაც სურს დამოუკიდებელი არსებობა...

და იყო საქართველო თავისუფალი, ბატონი თავისი თავისა.

იყო ერი, რომელიც ხარობდა დამოუკიდებელ ცხოვრებით:—მისი ბედი მის ხელში იყო.

მთლიანი, ერთსულოვანი იყო ქართველი ხალხი თავის ნების გამოხატვაში.

——

მაგრამ დადგა თებერვალი. დაჰბერა ჩრდილოეთის სუსხიანმა ქარმა და დასჭკნა ყვავილი, ყვავილი უცხო, მაისში გაფურჩქვნილი.

25 თებერვალს 1921 წელს დაეცა საქართველოს დედაქალაქი...

18 მარტს ქართველ ხალხის მიერ არჩეულმა მთავრობამ დასტოვა ბათომი...

ვერაგმა მტერმა საქართველოს მოპარვით, ქურდულად ზურგში ბასრი მახვილი ჩასცა და დაიმორჩილა ის ესოდენ ჭირ-ნახული, მრავალტანჯული.—

— რუსეთმა კვლავ დაიპყრო ქართველი ერის ტერიტორია მოტყუილებით.

და დღეს ქვეყანა მზის და სიხარულის ძაძებშია გახვეული...

ამირანი კვლავ მიჯაჭვულია კავკასიონის ქედზე, ნესტან-დარეჯანი კვლავ ჩაკეტილია ქაჯეთის ციხეში.

განადგურებულია სამშობლო ჩვენი, დანგრეულია მთაწმინდა, შეურაცხყოფილი დიდუბე, გმირთა საფლავი.—

— დაჩაგრულია მოხუცი თბილისი.

«ჩუმად... დაღლილი სანთლებით მოდის
მწუხარე ლანდი... მაღალი ლანდი»...

«ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტი» სამშობლო ჩვენი უცხო უხეშ ძალის ქვეშ გმინავს, მტარვალის მახვილით მძიმედ დაჭრილი...

გმინავს, მაგრამ არ ოხრავს:—იბრძვის, იბრძვის გმირულად ისე, როგორც უბრძოლია საუკუნოებით—ქართველურად.

ამ ბრძოლაში ურყევია ნება საქართველოისა:—დამოუკიდებლობის აღდგენაა მისი მიზანი.

ბრძოლა იგი გამარჯვებით გათავდება და ქართველი ერი კვლავ იხილავს გაზაფხულს, მაისს, მზეს.

კვლავ გაითენებს 26 მაისს, დღეს ძალით დამორჩილებული...

ამის თავდებია აგვისტო-სექტემბერი...

ამის თავდებია დახოცილ გმირთა უცნობი საფლავები, მათი აჩრდილები... ამის თავდებია დაქცეული სისხლი... ამის თავდებია ისტორია!

და მეტეხი! დღეს ხომ მთელი საქართველოა მეტეხი!

ეს ანანიას და ისახარის მეტეხია, სულეიმანს რომ ძილს უფრთხობდა...

ეს ზეინაბ-თამარის მეტეხია—ქართველი დედის ციხე სიმაგრე—იმ ქართველი დედის, რომელიც ქმარს, შვილს, თავისთავს წარბშეუხრელად ერის ბედნიერებას სწირავს...

კრთოდეთ, ქვეყნის მოღალატენო, ერის სინიდისის გამრყვნელნო!...

მოვა დრო და იფეთქებს მეტეხი და მისი განმწმენდი ცეცხლი სამუდამოდ მოაშორებს საქართველოს მის დამჩაგვრელებს.

ქართველი ერი გაინთავისუფლებს თავს და მტკიცედ გასწევს წინ დიად მიზნების განსახორციელებლად, როგორც თავისუფალი, დამოუკიდებელი წევრი საკაცობრიო ოჯახისა.

ისტორია თავის მიზანს მიაღწევს.

ერი ზე აღსდგება, სიყვარულით და მოწიწებით მოიგონებს თავის წინაპართ, მებრძოლთ, მეგობართ და აღფრთოვანებით შესძახებს:

«ვინა სთქვა საქართველოზე,
ეს არის ლომი კვდებაო?!..»

ა.—ძე.

# საქართველოს საკითხი უცხოეთში

გასულ აპრილს პარიზში შეიკრიბა «ზარუბეჟნი სიეზდი», რომელზედაც მონაწილეობა მიიღეს რუსის ემიგრანტ მონარქისტებმა და ვაჭარ-მრეწველთა წრეებმა. ყრილობას თავმჯდომარეობდა ცნობილი პეტრე სტრუვე, ხოლო ფინანსიურათ მას ხელს უწყობდა ბაქოელი გუკასოვი. მეტია შეჩერეიმაზე, რომ მარკოვი მეორე და ტრეპოვი ვერ შეეწყვენ რიაბუშინსკის და ტრეტიაკოვს; თუმცა ერთი ბელადი აირჩიეს ნიკოლოზ რომანოვის სახით, მაგრამ საორგანიზაციო კითხვაში ვერ მორიგდენ.

ყრილობამ განიხილა, სხვათა შორის, ეროვნული კითხვა და ამ მხრივ ის საინტერესოა. მიღებულ რეზოლიუციით ყრილობა სცნობს ძველი რუსეთისგან გამოყოფილ ერების დამოუკიდებლობას, ხოლო, რაც შეეხება იმ ერებს, ვინც კიდევ რუსეთის ფარგლებში დარჩა, მათ ის პირდება ეროვნულ კულტურისა, სარწმუნოების და ზნეჩვეულების უზრუნველყოფას. მომხსენებელმა ურუსოვმა განმარტა, თუ ვის გულისხმობდა ის გამოყოფილ ერებში: პოლონეთს, ფინლიანდიას, ბალტიის რესპუბლიკებს. მან გამოყო საქართველოც და სთქვა: «ამ ქვეყნის დამოუკიდებლობა უზრუნველყოფილ იქნება მხოლოდ ნაციონალურ რუსეთის მიერ, თანახმათ თავისუფალ შეთანხმებისა მათ შორის, ურთიერთ პოლიტიკურ და ეკონომიურ ინტერესების დაცვის ნიადაგზედ.»

რუსის მონარქისტების სიტყვა, როცა ისინი ემიგრაციაში არიან, დიდი წონის არაა, რადგან შინ დაბრუნების უმალ, რასაც ბოლშევიკური რეჟიმი სრულიად არ ხდის შეუძლებლად, ისინი შეეცდებიან უკან წაიღონ ის. ხაზგასასმელი მხოლოდ ის გარემოებაა, რომ საქართველოს დამოუკიდებელ არსებობის უფლება იმდენათ აშკარაა, რომ რუსის მონარქისტებიც ვერ უვლიან მას გვერდს და იძულებული არიან აღიარონ მისი სამართლიანობა ევროპის საზოგადო აზრის წინაშე.

ყრილობამ იგივე აღუთქვა სომხეთს, რაც საქართველოს; ხოლო, რაც შეეხება აზერბეიჯანსა და მთას, მათ ის არ ელევა, ალბათ, ბაქო-გროზნოს გამო.

∴

იმავე აპრილს შეიკრიბა მუშათა სოციალისტურ ინტერნაციონალის ეგზეკუტივი ციურიხში. განსახილველ საკითხთა შორის იყო წინადადება ინგლისის დამოუკიდებელ მუშათა პარტიისა—მივმართოთ კომუნისტურ ინტერნაციონალს გაერთიანებისათვის და ამ მიზნით საერთო კონფერენცია მოვიწვიოთო. წინადადება უარყვეს 247 ხმით 3-ის წინააღმდეგ.

წინადადების დამცველი ბროკვეი ამბობდა: მართალია, სოციალისტების დევნა რუსეთში და საქართველოს დამონავება დიდი დაბრკოლებაა, კომინტერთან საერთო ენის გამონახვისათვის—მეც ხომ ამ მიზეზით არ მივიღე მოსკოვის სტუმართ-მოყვარეობა—, მაგრამ მასთან დაახლოება საშუალებას მოგვცემს ამ კითხვებზეც ველაპარაკოთ მას.

ეგზეკუტივის დანარჩენი წევრები, მათ შორის საქართველოს წარმომადგენელი ირაკლი წერეთელი, წინააღუდგენ ამ წინადადებას. ინგლისის მუშათა პარტიის (დამოუკიდებელნი სხვა არიან) წარმომადგენელი კრემპი მიუგებდა ბროკვეის: სწორეთ რუსის და ქართველ სოციალისტებს მიეცემოდათ უფლება ესაყვედურნათ ჩვენთვის სისუსტე, თქვენი წინადადება რომ მიგვეღოვო.

◆

# ბოლშევიზმი და ეროვნება.

ბოლშევიკების სოციალურ-ეკონომიური ხასიათის მუშაობა, რასაკვირველია, არაა მთავარი მიზეზი საქართველოს დღევანდელი მწვავე მდგომარეობისა. სრული შეურიგებლობა და უფსკრული, რომელიც არსებობს ქართველ ერსა და ბოლშევიკებს შორის, გამოწვეულია უპირველესად უკანასკნელების ანტიეროვნულის პოლიტიკით.

ყოვლის უწინარეს, ვინ არიან ბოლშევიკები ჩვენში? ესაა გარედან შემოჭრილი, რუსის ხიშტებზე დაყრდნობილი ძალა, რომელიც იძულებით, ტერორით ცთილობს მოახვიოს ქართველ ხალხს თავისი წესი და შეხედულობა. ბოლშევიზმის დამყარება საქართველოში არაა საკუთარ, შინაგან ძალთა ბრძოლის შედეგი, მისი ვითარების, მატერიალური და კულტურული მდგომარეობის ნაყოფი, მისი რწმენის და მისწრაფების გამოხატულობა. უეჭველია, საქართველოს მკვიდრთა შორის არიან ბოლშევიკები, მაგრამ იმდენად მცირეა მათი რიცხვი დღესაც, ბოლშევიკური ბატონობის 5 წლის შემდეგ, რომ საკმარისია რუსის ჯარის გაყვანა საქართველოდან, და ბოლშევიზმი მყისვე დაემხობა. ეს ფაქტი, რომელიც სრულიად უდავოა ყოველი პატიოსანი ადამიანისთვის, თავისთავად ფრიად მნიშვნელოვანია და ბევრის მეტყველი. ცხოვრების განვითარებაში უპირველესი მნიშვნელობა აქვს ეროვნებას, ეროვნულ თვითარსებობას და შემოქმედებას. ამიტომ გარედან ძალით მოხვეული ცვლილება საზიანოა, ერის შემბორკველია და მისი სულის დამხშობი. განვითარების პროცესში თვითონ ცვლილება კი არაა იმდენად ძვირფასი, რამდენად ამ ცვლილების განხორციელება, მისი ძიება, მისკენ მისწრაფება, მისთვის ბრძოლა. ამ ბრძოლაში ვითარდება და იზრდება ადამიანი და იგი განხორციელებულ ცვლილებასაც იგუებს, სარგებლობს სავსებით და ამასთან იმის უნარსაც ჰპოებს თავის არსებაში, რომ პროცესი წინსვლისა, ახალი ძიება-ბრძოლისა კვლავ განაგრძოს. ცხადია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ერთმა მეორესგან არა ისესხოს და არა შეითვისოს რა. ოდნავადაც არა. მხოლოდ ეს შეთვისებაც უნდა ხდებოდეს თავისუფალ შეგნებით და ნებისყოფით, საკუთარის თვითმოქმედებით. ასეთ თავისუფალ სესხებასა და საქართველოში ბოლშევიზმის დამყარებას შორის, რასაკვირველია, საერთო არა არის რა. ერთია მეთოდი განვითარებისა, მუდმივი განახლების, მეორე—დამხობის და გადაგვარების.

აქ შეიძლება ვინმემ გვითხრას: მართალია, ბოლშევიზმი ჩვენში გარედან შემოჭრილია, უცხო ძალას ემყარება, მაგრამ ეროვნულ პოლიტიკას აწარმოებს, ქართულ ეროვნებას იცავსო. ამის თქმა სრული გაუგებრობაა ბოლშევიზმის ბუნებისა. ხალხის სულიერი განცდა ამ შემთხვევაში უტყუარი გამომხატველია სინამდვილის. მიუხედავად ბოლშევიკების ვითომდა ეროვნული ფართი-ფურთობისა, ქართველი ხალხი დღეს საქართველოში თავის თავს გრძნობს როგორც უცხოეთში. იგი დაბეჩავებულია, წელში მოხრილია, სახე თამამად ვერ გაუშლია, სიტყვა პირდაპირ ვერ უთქვამს. იგი ნდობა და ღირსება აყრილია თავის სახლში მას არ ენდობიან მმართველნი, ისე როგორც არც თვითონ ენდობა მათ. განდგომილმა დევდარიანმაც კი შენიშნა ეს გარემოება და შეუძლებელია, მართლა, ამის არ დანახვა—ამ ქართველი ერის და დღევანდელი მისი ბატონების შეუთვისებლობას. ქართველი ერისთვის ახლანდელი მთავრობა უცხოა, სრულიად უცხო, თუმცა მისი წევრები ქართულ გვარებს ატარებენ. მათ ერთმანეთის გასაგებად საერთო ენა არ მოეპოვებათ.

და გვიპასუხონ: არის საღი იმ ერის მდგომარეობა, რომლის 99 პროც. მოღალატედ არის გამოცხადებული?

და შეუძლია ასეთ ერს ნორმალურად არსებობა და განვითარება?

ბოლშევიკებმა დაახშეს სხვა ყველა კარი და ფართოდ გაუღეს რუსეთს საქართველოსკენ კარები. რუსული ნაწარმოები, რუსული აზრი, სიტყვა, წიგნი, გაზეთი ექსპრესებით შემოდის ჩვენში და რუსული კულტურა ახჩობს და ჰბორკავს ქართულს ისე, როგორც არასოდეს. ყოველი სახელმწიფოს არსებობის აზრი, სხვათა შორის, ისაა, რომ ამაგრებს ეროვნებას, იმ ეროვნებას, რომლის წარმომადგენელია, მფარველობს მას, ეხმარება ყოველგვარის ზომებით, ხშირად პროტექციანულადაც იცავს სხვის კულტურის ჩაგვრისაგან. საქართველოს ცალკე სახელმწიფოებრივობის დანიშნულება სწორედ იმაშია, რომ უნდა შექმნას განსაკუთრებული, ხელის შემწყობი პირობები ქართული შემოქმედებითი სულის განსამტკიცებლად და განსავითარებლად, უნდა შექმნას ისეთი წმინდა ქართული ეროვნული წრე, სადაც ქართველის ყოველგვარი შესაძლებლობა უნდა წარმოიშვას და გაიზარდოს. ქართული სახელმწიფო არა ჩვეულებრივის ყურადღებით, სინაზით, მზრუნველობით უნდა ეპყრობოდეს ქართველის ნიჭის ყოველს გამოჩენას, იქნება ეს მეცნიერებაში, ხელოვნებაში თუ პრაქტიკული მოქმედების სფეროში. თუ არაა ეს განსაკუთრებული მფარველობა ქართული კულტურის, ქართულ სახელმწიფოს ფასი აღარა აქვს, იგი სახელმწიფო არც არსებობს ნამდვილად.

არის ამის მსგავსი რამ საქართველოში დღეს? არა. საქართველო დღეს ფიქციაა, ისე როგორც მთელი ლაპარაკი ბოლშევიკებისა ეროვნული პოლიტიკის შესახებ. საქართველოს დამოუკიდებლობა, საქართველოს სახელმწიფო დღეს არ არსებობს. და ეს რომ ასეა, ამას ადასტურებს თვითონ ფ. მახარაძეც, რომელმაც რუსეთის კომუნისტების მე-XII კრებაზე შემდეგი განაცხადა: «აქ ლაპარაკობენ დამოუკიდებელ რესპუბლიკებზე. ამხანაგებო, ყველასთვის ცხადია, რა თვითარსებობა, რა დამოუკიდებლობაა ეს. ჩვენ ხომ ერთი პარტია გვყავს, ერთი ცენტრალური ორგანო, რომელიც ბოლოს და ბოლოს ყველაფერს საზღვრავს ყველა რესპუბლიკისათვის, იძლევა დირექტივებს, ნიშნავს პასუხის მგებელ ხელმძღვანელებს... ასე რომ თვითარსებობასა და დემოუკიდებლობაზე ლაპარაკი მეტისმეტად გაუგებარია.» ოღონდაც, და დიდი ბრიყვი უნდა იყოს ადამიანი ან მეტისმეტი ცინიკი, რომ რუსეთის «რესპუბლიკების კავშირს» მართლა სახელმწიფოების კავშირი უწოდოს. ეს დამოუკიდებელი სახელმწიფოები კი არა, უბრალო გუბერნიებიც არაა და მთელი აწინდელი რუსეთის წყობილება გაჟღენთილია უკიდურესი ცენტრალიზმით და აგრე წოდებული «კავშირი»-ს ნაწილები მოკლებულნი არიან იმ მცირე ინიციატივას და თვითმოქმედებას, რომელიც ჰქონდა წინად რუსულ ერობას.

ეს რომ ასე არ იყვეს, ბოლშევიკები ხომ ბოლშევიკები არ იქნებოდენ. ყოვლის უწინარეს კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ არსება ბოლშევიზმისა არის ცენტრალიზაცია. ეს ახასიათებდა მუდამ მათ მუშაობას, მათ ორგანიზაციებს. ამაზეა აგებული მათი პარტია, ასეთია მთლად მათი მოწყობილი სახელმწიფო, ასეა ყოველ მათ დაწესებულებაში. მათ ვერ შეუწყნარებიათ ოდნავი დამოუკიდებლობა ევროპის სხვა და სხვა სახელმწიფოებში არსებულ კომუნისტურ პარტიებისა და უნდათ ყველგან ყველაფერი მოსკოვის კარნახით კეთდებოდეს, თორემ როგორ მოითმენენ, რომ მათ სახელმწიფოში სადმე რაიმე თვითმოქმედება და საკუთარი ხელმძღვანელობა არსებობდეს. მთელი თვალუწვდენელი რუსეთი, მთელი 150 მილ. ხალხი ლოცვასავით იმეორებს მხოლოდ იმას, რასაც კრემლი ბრძანებს. მთელი ამდენი ადამიანის ფიქრი და გრძნობა, სიტყვა-პასუხი არის მოსკოვიდან ნაკარნახევი.

შეუძლებელია ამნაირი წყობილების და სისტემის დამკვიდრებელნი შეურიგდნენ საქართველოს დამოუკიდებლობას, მის ეროვნულ-სახელმწიფოებრივ არსებობას!

მიუდგეთ ჩვენს საკითხს უფრო დაახლოვებით. რას წარმოადგენს ეროვნება, ეროვნული საკითხი ბოლშევიზმისათვის? ეროვნება, ბოლშევიკების რწმენით, მეტად დახავსებული, გაცვეთილი, ანტიპროგრესიული მოვლენაა, ერთგვარი ცრუმორწმუნოებაა, რომელსაც ებღაუჭებიან წვრილ-ბურჟუაზიული წრეები. ეროვნული საკითხი მხოლოდ ჩამორჩენილ, ეკონომიურად განუვითარებელ ქვეყნებში არსებობს. ეროვნება არავითარ ღირებულებას არ ჰქმნის და თუ დროებით ოდნავი ყურადღება უნდა იქნეს მიქცეული ეროვნულ საკითხის მოწესრიგებაზე, მარტო ტაქტიკურის მოსაზრებით, ჩამორჩენილ ელემენტების და კუთხეების გულის მოსაგებად და «რევოლუციის გასაღრმავებლად».

ბოლშევიზმის მამამთავარს ლენინს სახელი აქვს დავარდნილი როგორც ერების დამცველს. ეს სრულებით არ შეეფერება სინამდვილეს. ლენინის შეხედულობა ასეთია: იგი ამბობს, «სოციალიზმის მიზანია არა თუ მოსპოს კაცობრიობის დაქსაქსვა პატარა სახელმწიფოებად და ყოველგვარი განცალკევება ერებისა, არა თუ დააახლოვოს ერები, არამედ შეადუღოს (სლიანიე) ისინი» (პარტიული პროგრამის გადასინჯვა). «დასავლეთის ქვეყნებში, სწერს ლენინი მეორე ალაგას (ზ. ვ. 24 წ. აპრ. 9): ეროვნული მოძრაობა ძველი წარ-

## ვაცლავ სეროშევსკის ლექციები პოლონეთში საქართველოს შესახებ.

ამა წლის მარტის განმავლობაში პოლონეთის გამოჩენილმა მწერალმა ვაცლავ სეროშევსკიმ მთელ რიგ ქალაქებში წაიკითხა ლექცია შემდეგი სათაურით: «კავკასიის პრომეთეოსი —საქართველო.» მთავარი აზრი სეროშევსკის მიერ გატარებული თავის ლექციებში იყო შემდეგი: ა) კავკასია არის კარი აზიის და ევროპის შუა, რომლით ევროპა წარსულში არა ერთხელ გადაკიდებია აზიელ საფრთხეს, და მომავალშიდაც არა ერთხელ მოევლინება მას ეს საფრთხე; ის არის აგრეთვე ერთად-ერთი უახლოესი გზა ევროპის კულტურისათვის აზიაში. ბ) კავკასია და საქართველო ეს ერთი და იგივე განუყოფელი მცნებაა, ვინაიდან როგორც წარსულში, ისე ეხლა და მომავალში ამ კარების ბატონ-პატრონი ყოფილა, არის და იქნება ქართველი ერი. გ) მეთერთმეტე და მეთორმეტე საუკუნოებში საქართველოს ეჭირა არამც თუ თითქმის მთელი კავკასია, არამედ კარგი ნაწილი მცირე აზიისა, მას ჰყავდა 12 მილ. მცხოვრები, დ) მონგოლებმა ნახევარი თავისი ძალა და ენერგია საქართველოში ჩახარჯეს, რომ გზა გაეკაფათ ევროპისაკენ, ეს აყვავებული მხარე ველად აქციეს და რამოდენიმე ათი ათასი ქართველი მეომარი ძალდატანებით თავის ჯარში მოაქციეს. ე) ქართველი ერის თავდადება და ბრძოლა ქრისტიანობისათვის, ვ) ქართველი ერის ბრძოლა რუსეთის წინაალმდეგ, ზ) დამოუკიდებელი საქართველოს აყვავება, თ) რუს ბოლშევიკების თავდასხმა საქართველოზე და უკანასკნელი წლების გმირული ბრძოლა ქართველი ერის, აი მოკლე შინაარსა ამ მეტად საინტერესო, საუცხოვო ფორმაში ჩამოსხმულ ლექციის.

თავის ლექციის დასასრულ ის მოუწოდებდა პოლონელ საზოგადოებას და განსაკუთრებით ახალგაზდობას ღრმათ ჩაუკვირდენ საქართველოს საკითხს და შეისმინონ ქართველი ერის თანამედროვე გამოჩენილ მოღვაწეთა მომართვანი, ვინაიდან საქართველოს საკითხში ჩაქსოვილია მთელი ევროპის და განსაკუთრებით პოლონეთის ბედი-თუ უძლურება. ლექცია იყო წაკითხული შემდეგ ქალაქებში: ვარშავასა, გროდნოსა, ვილნოსა, ტორუნსა, ბიდგოშჩსა, და პოზნანში, უკანასკნელში სამჯერ იყო წაკითხული ლექცია, რადგან ლექციის მოსასმენად დადძალი ხალხი მოსულა და შენობა მცირე აღმოჩნდა. ლექციამ ყველა ქალაქში მოახდინა უდიდესი შთაბეჭდილება. სხვადასხვა მიმართულების პრესამ მოათავსა შინაარსი ამ მოხსენების და თავის მხრივ მისცა შესაფერი, ფრიად ჩვენთვის ხელსაყრელი განმარტება. სხვათა შორის ერთი უდიდესი ვარშავის გაზეთი «ახალი კურიერი პოლონეთის» სწერდა: «ჩვენი უდიდესი ეხლახან გარდაცვალებული მწერალი ჟერომსკი ერთ თავის უკვდავ თხუზულებაში აღწერს რა ქართველის და პოლონელის ერთად ტანჯვას რუსეთის კატორღაში, გვიკარნახებს: «დამოუკიდებლობა საქართველოსი უნდა იქნეს უდიდესი იდეალი ყოველი სულით და გულით თავისუფალ ადამიანისთვის». გუშინდელი მოხსენება ბ-ნ სეროშევსკის იყო უდიდესი დამამტკიცებელი საბუთი ამ მოწოდებისა ჩვენი უდიდესი მწერლის».

ბ-ნი სეროშევსკი ახლო მომავალში სხვა ქალაქებშიდაც წაიკითხავს თავის ლექციას.

* * *

## წარსულის შავი ფურცლებიდან.

«. . . მოღალატეს არავითარ სასჯელს არ ვუნიშნავთ: ის ყველაფრის ღირსია».
ვახტანგ მეფის კანონები.

ამბობენ: ისტორია არ მეორდება. შეიძლება ასეც იყოს. ამ საკითხზე არ გვსურს დავა. მაგრამ როდესაც წარსულს თვალს ავლებთ და ისტორიის დაობებულ შავ ფურცლებს მწუხარებით გადაშლით,—იქ ბევრი რამ გვხდებათ ისეთი, რაც დღევანდელს მოგვაგონებთ. გასაოცარია მზგავსება მოვლენასა და დაფასებაში!

აი შემთხვევით გადაშლით ისტორიის სქელ წიგნს და წააწყდებით არაბთა ბატონობის ხანას საქართველოში.

645 წელში საქართველოში ანუ უფრო სწორათ, აღმოსავლეთ საქართველოში, იბერიაში, არაბთა ბატონობა დაიწყო. დასაწყისში, არაბთა ბატონობა მეტათ ლბილი იყო; არაბთა პოლიტიკა, სანამ მათ ჯერ ფეხი მაგრათ არ მოეკიდათ საქართველოში, ელასტიური იყო, ქართველთ უნდა აღეარებიათ არაბთა პოლიტიკური ხელისუფლება და ეძლიათ განსაზღვრული ხარკი. არაბთა პოლიტიკის უმთავრესი მიზანი იყო ქართველთა ქვეყნის—ამ უმნიშვნელოვანეს სტრატეგიული ბაზის ხელში ჩაგდება; მაგრამ მას შემდეგ, რაც მათ თფილისში ძირი გაიკეთეს და დარიალის ხეობის ციხე-სიმაგრენი დაიპყრეს და დაიმკვიდრეს,—მათი მოქნილი პოლიტიკა გაუხეშდა და პოლიტიკურ დევნას, ეკონომიურ რბევას ფართო ასპარეზი მიეცა. ქართველთა ეროვნული სახის გამომხატველი—მათი სარწმუნოება, ქრისტიანობა, არაბთა ბატონობის პირველ ხანაში, თავისუფალი იყო. არაბებმა კარგათ იცოდენ. რომ პოლიტიკურ-ეკონომიური ბატონობა საკმარისი არ იყო, რომ ქართველთა საერთაშორისო მნიშვნელობის მხარე-ქვეყანა მათ სამუდამო ბატონობის საფუძვლათ გადაქცეულიყო. საჭირო იყო საქართველოს ეროვნული სახის მოსპობა, ქართველთა ეროვნული სულის განადგურება. ამ მიზნის განსახორციელებლათ არაბები მეტათ მზაკვრულ პოლიტიკას მისდევდენ: ის ქართველი, რომელიც ქრისტიანობას დასტოვებდა და მაჰმადის სარწმუნოებას აღიარებდა, დამპყრობელ ბატონებისაგან ყოველგვარ უპირატესობასა და შეღავათს მიიღებდა. გამაჰმადიანებულ ქართველთათვის მზათ იყო ხელისუფლებაში მონაწილეობის უპირატესობა, ანუ დღევანდელი თქმით, მაღალი თბილი ადგილი. გამაჰმადიანებული ქართველი თავისუფლდებოდა მძიმე გადასახადებისაგან.—მოკლეთ: თავის რწმენის დამაგდებლნი დამპყრობელებთან ერთად ქართველი ხალხის ზურგზე ბატონობდენ. თავის რწმენის მოღალატენი, ამგვარათ, ერის მოღალატენი თუ უზრუნველყოფელი იყვენ და დამპყრობელებთან ერთად ქართველ ხალხს სულს უხუთავდენ, ქართველი ხალხი, როგორც მემატიანე მოგვითხრობს, საშინელებისაგან პარტახდებოდა. ანუ მატიანეს სიტყვით რომ ვსთქვათ: «მათგან მიეცა ყოველი ესე ქვეყანა ჟამითა ჟამად რბევასა».

ქართველთა პოლიტიკური ხელისუფლების მატარებელნი. დიდი ქართველი მოხელენი და ერისთავები არაბთა პოლიტიკური დევნის გამო და ეკონომიური ცარცვა-გლეჯით გავერანებულნი, იძულებულნი ხდებოდენ სამშობლო მიეტოვებიათ და გადახვეწილიყვენ. აშკარაა, თუ ეს დევნილი ქართველები იცნობდენ და აღიარებდენ დამპყრობელთა ბატონობას, თუ ისინი გამაჰმადიანდებოდენ და ამნაირათ ქართველ ეროვნულ სახეს წაიშლიდენ,—მათ პატივით და დიდებით იღებდენ არაბები. ამ გზით, ამ მზაკვრული საშვალებით, თანამედროვე ქართველი პატრიოტის იოანე საბანისძეს თქმით, არაბებმა «მრავალნი შეაცთუნეს და გარდადრიკნეს გზისაგან სიმართლისა», ზოგნი «მძლავრებით, რომელნიმე შეტყუვილით, რომელნიმე სიყრმესა შინა უმეცრებით და რომელნიმე მზაკუარებით»ო; ისინი კი. ვინც თავის პოლიტიკურ და ქრისტიანულ რწმენაზე შეურყევლათ იდგენ, ისინი «მძლავრებასა ქვეშე დამონებულ» იყვნენ და მძიმესა «ხარკსა ქვეშე მათსა გვემულნი» სულს ითქვამდენ «ნაკლულევანებით და სიგლახაკითა, ვითარცა რკინითა». თავის სარწმუნოების უკუმგდებელნი და ქართული სახის წამშლელნი პიროვნებანი,—მოღალატენი,—არაბთა მიერ როგორც სჩანს პატივცემულნი იყვენ, ისინი, ვინც იოანე საბანისძეს სიტყვით რომ ვთქვათ «მფლობელთა ზედამდგომელთა» ანუ დამპყრობელთა ბანაკში გადადიოდენ, «კეთილი ცხოვრებით» აღსავსე იყვენ. ქართველი პატრიოტი, იოანე საბანისძე სწუხს ამ ეროვნული სენის მოვლენას და ამბობ: «აღვერიენით ერსა უცხოსა... სარწმუნოებისა ჩვენისა მაგინებელთა»... და აღინთო იოანე საბანისძეს გული ეროვნული ცეცხლით, მწარე პროტესტით მიმართა მან თავის თანამემამულეებს, მოაგონა მათ თავისი ვალი და როდესაც არაბებმა გაქრისტიანებული არაბი, აბო ტფილელი,—ქრისტეს სჯულის მიღებისათვის აწამეს, იოანე საბანისძემ ხმა აღიმაღლა და ამ უდიდეს საზოგადოებრივ მნიშვნელობის ფაქტით მოღალატეთა წინაალმდეგ სასტიკი ბრძოლა დაიწყო, არაბი მოქრისტიანდა და ეწამა თავის რწმენისთვის, ხოლო ზოგნი ქართველნი კი არაბებისა გამო «შიშითა განილევიან და ირყევიან, ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლიერთა»ო. იოანე საბანისძეს ქადაგებამ და აბო ტფილელის ტანჯვამ ქართველთ რწმენა განუახლა, «სწავლულნი უფროის გულისხმიერ ჰყო» და ჩააფიქრა, «შერყეულნი უფროის განამტკიცა», ხოლო «განმტკიცებულნი» განახარა. იშვა ძლიერი ბრძოლის უნარი, გასალკლდევდა ქართველთა ეროვნული ნება და საბოლოოთ გამარჯვებაც ქართველთ დარჩათ.

რა განსაცვიფრებელი მზგავსებაა მეშვიდე-მერვე საუკუნის ამ ამბავში მეოცე საუკუნის ამბავთან! პოლიტიკური ტერმინები შეიცვალა მხოლოდ, არსებითად თითქოს ერთი და იგივეა. ბოლშევიკების პოლიტიკა იგივე არაბების პოლიტიკაა. გადამდგარ ქართველთა ღალატი იგივეა, რაც გამაჰმადიანებულ, რწმენის გამყიდველ, ქართველთა ღალატი იყო.

ბ. ვარდანი.

## უცხოეთის მიმოხილვა.

**რუსეთ-გერმანიის ხელშეკრულება.** მითქმა-მოთქმა გამოიწვია ევროპაში რუსეთ-გერმანიის ხელშეკრულებამ, რომელსაც შტრეზემანმა და კრესტინსკიმ მოაწერეს ხელი ბერლინში 24 აპრილს. ხელშეკრულება 4 მუხლისაგან შესდგება და მისი ვადა 5 წლით არის განსაზღვრული. გერმანია და რუსეთი, გამოდიან რა რაპალოს ხელშეკრულებიდან, ნეიტრალიტეტს და ეკონომიურ-ფინანსიურ ბოიკოტისგან თავშეკავებას პირდებიან ერთმანეთს იმ შემთხვევაში, თუ ერთს მათგანს თავს ესხმის მესამე ან ბევრი სახელმწიფო. დამატებით, გაცვლილ ნოტებში, შტრეზემანი განმარტავს და კრესტინსკი ცნობად იღებს, რომ გერმანიის ერთა ლიგაში შესვლა არ მოითხოვს მისგან მონაწილეობა მიიღოს. თანახმათ ლიგის სტატუტის 16 და 17 მუხლისა, რუსეთის ეკონომიურ და ფინანსიურ ბოიკოტში, თუ ის, რუსეთი, თავდამსხმელი არ არის.

აი მოკლეთ დედა-აზრი ხელშეკრულებისა. რა არის მასში, მაგ., ლოკარნოს მონაწილეთათვის მიუღებელი? ფორმალურათ არაფერი. ბერლინის აქტს არ დაურღვევია არც ერთი მუხლი ლოკარნოს და ჟენევის აქტებისა. გაიხსენეთ, ბერლინი პირდება მოსკოვს ნაიტრალიტეტს, თუ ის, მოსკოვი, თავდამსხმელი არ არის. თუ ის თავდამსხმელია? მაშინ ძალაში რჩება ვალდებულება გერმანიისა, როგორც ლიგის წევრისა, მონაწილეობა მიიღოს ლიგის ნაბიჯებში მშვიდობიანობის დამრღვევ რუსეთის წინაალმდეგ.

შთაბეჭდილება მოახდინა ორმა გარემოებამ: ა) გერმანია შეეკრა რუსეთს მისი ლიგაში შესვლამდე და ბ) ხელშეკრულებაში ისევ რაპალოზეა ლაპარაკი, მაშინ როდესაც ის მკვდარი ეგონათ. მაგრამ ამ შემთხვევაში ყველაზე საყურადღებო ისაა, რომ გერმანია ბერლინის ხელშეკრულებაშიც ლიგაში შესვლის უფლებას იტოვებს და რუსეთი იძულებულია თავის ხელმოწერით ეს მწარე აბი გადაყლაპოს; გაიხსენეთ ჩიჩერინის მუქარა და პროტესტები შარშან შემოდგომაზე! მეორეს მხრით, რაპალო გულისხმობდა ერთგვარ

---

სულია. «სამშობლომ» ინგლისში, საფრანგეთში, გერმანიაში და სხვაგან დიდი ხანია მოჭამა თავისი დრო, შეასრულა თავისი ისტორიული როლი, ე. ი. აქ ეროვნულ მოძრაობას არ შეუძლია მოგვცეს რაიმე პროგრესიული ახალი მასათა აღსაძრავად ახალ ეკონომიურ და პოლიტიკურ ცხოვრებისათვის. აქ დღეს ისტორიული მორიგი საკითხია არა დამყარება ნაციონალურ პროგრესისა ნაცვლად ფეოდალიზმისა და პატრიარქალურ ველურობისა, არამედ გადასვლა სოციალიზმში უკვე გაცვეთილ, კაპიტალისტურად მეტად მომწიფებულ «სამშობლოდან». სულ სხვაა აღმოსავლეთში, სადაც «სამშობლოს» ჯერ კიდევ არ განუხორციელებია თავისი დანიშნულება...

ეროვნება უნდა გაქრეს; ზოგან იგი უკვე მოსპობილია; ერები უნდა შედუღდნენ, გაითქვლიფნენ. მაგრამ რაკი ზოგან ჯერ კიდევ არის ეროვნული ნაშთები, ამას ანგარიში უნდა გავუწიოთ ტაქტიკურის მოსაზრებით და რათა უფრო იოლად მოხდეს ერების გათქვლეფა, ერებს ძალა არ უნდა დავატანოთ, ძალით არავის მოვუსპოთ დამოუკიდებლობა; ისე უნდა მოვაწყოთ საქმე, რომ გაერთიანება და ეროვნულ თავისებურობათა მოსპობა მოხდეს თავისუფლად, ნებაყოფლობით. ერთგვარი პატივისცემა ეროვნული საკითხისა მით უფრო საჭიროა, ფიქრობს ლენინი, რომ სოციალური რევოლუცია ვერ გაიმარჯვებს, თუ მას მხარი არ დაუჭირეს სხვა რევოლუციებმა, მათ შორის ეროვნულმა რევოლუციებმა ჩამორჩენილ ერებში. ამიტომაცაო, ამბობს ბოლშევიკების მესაჭე, «უდიდესი სიფრთხილით და განსაკუთრებულის ყურადღებით უნდა მოვეპყრათ ეროვნულ გრძნობათა და ცრუმორწმუნოებათა ნაშთებს.» მართალია, ლენინმა ყველა ერს გამოუცხადა (რასაკვირველია, ტაქტიკურის მოსაზრებით!) თავისუფლების და სუვერენობის უფლება, მაგრამ ამას ჯერ კიდევ 1913 წ. გაუკეთა იეზუიტური შენიშვნა: ერის თვითგამორკვევის საკითხი ერთია და ერის გამოყოფის, ცალკე არსებობის მიზანშეწონილობა მეორე საკითხიო. ე. ი. ყველა ერს შეუძლია თავისუფალი იყოსო, მაგრამ შესაძლებელია უფრო სასარგებლოა ერისთვის, არ იყოს თავისუფალი და სხვას დაემორჩილოსო!

ლენინის მოწაფეები მტკიცედ იცავენ თავის მოძღვრის დებულებას. ტროცკიმ არა ერთხელ დასწერა და განაცხადა საჯარო კრებებზე, რომ ეროვნული საკითხი დღეს არსებობს მხოლოდ როგორც ერთგვარი ცრუმორწმუნოების საკითხი. რუსეთის კომუნისტების 1924 წ. ყრილობაზე სტალინი თავის მოხსენებაში ამბობდა: «მე მესმის ჩვენი პოლიტიკა ეროვნულ საკითხში როგორც პოლიტიკა დათმობათა ნაციონალებისა და ნაციონალურ ცრუმორწმუნოებისათვის.» ცხადია, ვინც ასე უცქერის ეროვნებას, მისთვის ყოველი ნაბიჯი ეროვნულ საკითხში ერთნაირი დათმობაა, და ეს კარგად აღნიშნა რაკოვსკიმ იმავე ყრილობაზე. ამის სიტყვით, მთელი ჩვენი (კომუნისტების) ნაციონალური ·პოლიტიკა, საბჭოთა მთავრობის დამოკიდებულება «მოკავშირე რესპუბლიკებთან» დიდი უმრავლესობისთვის არის მარტოოდენ სტრატეგიული და დიპლომატიური მანიოვრი; ეს უმრავლესობა ღიმილით ლაპარაკობს ეროვნულ საკითხზე—რა ფასი აქვს ამ საკითხს დღეს რუსეთისთვის, როდესაც ჩვენ უკვე სოციალისტურ სამეფოში გადავედითო. ეს უმრავლესობა, რასაკვირველია, რუსეთის დღევანდელ ფედერატულ მოწყობასაც ისე უცქერის, როგორც გარდამავალ სახეს სრულ მთლიანობის და ერთობის დასამყარებლად. ეს ნათლად იყო განმარტებული პარტიის ყრილობაზე 1919 წელს.

ძალიან დამახასიათებელია კომუნისტების მე-12 კრება (1924 წ.) მათი შეხედულობის გასარკვევად საზოგადოთ ეროვნულ საკითხზე. კრებაზე დიდი და ცხარე კამათი იყო ეროვნული პოლიტიკის გარშემო. მაგრამ ლაპარაკობდენ უმთავრესად არარუსები. კრების უმეტესი ნაწილი სრულიად უინტერესოთ და მოწყენით უგდებდა ყურს მსჯელობას. მას დაეტყო სიცხოველე მხოლოდ ერთ მომენტში, როცა ზინოვიევმა აღნიშნა: მართალია მაგრად იკიდებს ფეხს რუსული ველიკოდერჟავული ნაციონალიზმი, მაგრამ ნუ დაივიწყებთ იმასაც, რომ ადგილობრივი შოვინიზმიც იჩენს თავსო. კრების უმრავლესობას ეს საყვედური ადგილობრივ ეროვნულ მოძრაობის შესახებ ძლიერ მოეწონა და ორატორი მხურვალე ტაშით დააჯილდოვა. ამაზეა სწორედ ნათქვამი: სხვის თვალში ბეწვს ხედავ, შენსაში დვირესაც კი ვერაო. *)

რომ ბოლშევიკები ეროვნული თავისუფლების წინაალმდეგნი არიან და ეროვნებას აბუჩად იგდებენ,—ეს არ ახალია, ძველია: გავიხსენოთ ზოგიერთი ამბავი იმ დროის, როცა ბოლშევიკები და მენშევიკები ერთს სოც.-დემოკრატიულს პარტიას შეადგენდნენ რუსეთში. ამ პარტიის მეორე კონგრესის პროტოკოლების მე-170 გვ. ვკითხულობთ: «განსახილველია მუხლი მესამე კომისიის პროექტისა—ფართო ადგილობრივი და საოლქო თვითმართველობა. ლენინი: წინაალმდეგია სიტყვის «საოლქოსი», შეიძლება ეს სიტყვა ბევრნაირად აიხსნას, იქნება ვისმე დაებადოს აზრი, ვითომც ს.-დემოკრატია სახელმწიფოს დანაწილების მომხრე იყოს.» ამ ამონაწერიდან ნათლად სჩანს მომავალი ლენინი და მისი ბოლშევიზმის არსება. დაშლილ რუსეთს ბოლშევიკები დღეს თავს უყრიან და ძალით აკოწიწებენ, ხელახლა ჰქმნიან ერთს განუყოფელ რუსეთს! კიდევ უფრო მეტყველია კონგრესის ანგარიში ენათა თანასწორობის შესახებ: აღიძრა საკითხი ენათა თანასწორ-უფლებიანობის. ტროცკი მოითხოვს, კენჭი უყარონ, სასურველია თუ არა ცალკე პუნქტი ენათა თანასწორ-უფლებიანობისთვის. უყრიან კენჭს ამ წინადადებას—23 თანახმაა, 23 წინაალმდეგი. შემდეგ უყრიან კენჭს ოქმებში შეტანილ შესწორებათა. შესწორება ლიბერისა «შეიქნას ცალკე მუხლი ენისთვის» არ იქნა შეწყნარებული (17 თანახმაა, 23 წინაალმდეგი); ლენსკის შესწორება «მიენიჭოს ყველა მოქალაქეს ილაპარაკოს დედა-ენაზე ყველგან—სახელმწიფო დაწესებულებებში და სკოლებში» უკუგდებულ იქნა დიდის უმრავლესობით; ეგოროვის შესწორება «თანასწორობა ყველა ენისა, რომელიც არ უარყოფს სახელმწიფო ენას» უარყოფილია (თანახმაა 21, წინაალმდეგი 24) და კასტროვის შესწორებას «თანასწორობა ენებისა ყველა სკოლასა, დაწესებულებასა და კრებაზე» მხარს უჭერს 24. წინაალმდეგია 24; მეორედ უყარეს კენჭი და მიღებულ იქნა ერთის ხმის უმეტესობით. ჩვენთვის აქ საყურადღებო ისაა, რომ ეროვნების ელემენტარულ უფლების—ენის დაცვის მოწინაამდეგე ბანაკში არის ლენინი, რომელიც შემდეგ ტაქტიკური მოსაზრებით «ეროვნულ ცრუმორწმუნოების» მოსარჩლედ გამოდის. რასაკვირველია, რაკი ეროვნება დახავსებული ცრუმორწმუნოებაა, შეიძლება მსუბუქად მოეპყრა და დღეს ერთი სთქვა, ხვალ მეორე. მაგრამ ნამდვილი გულის ნადების დამალვა ძალიან ძნელია და ლენინის ყოველს ნათქვამსა და ნაწერში ერთი და იგივე გამოსჭვივის ნათლად: უყურადღებობა, აბუჩად აგდება, თითქმის სიძულვილი ეროვნული არსებისა და ლენინის მფარველობა დაჩაგრულ ერებისა, აგრე ვსთქვათ ტაქტიკური მფარველობა, იმას გვიჩვენებს, რომ ბოლშევიზმი ერთის მხრით და ეროვნული არსებობა, ეროვნული თავისუფლება მეორეს მხრით აბსოლუტურად შეურიგებელნი და მოუთავსებელნი არიან...

ჩვენ ვნახეთ, რას ფიქრობდა ლენინი და რას ფიქრობენ ბოლშევიზმის დღევანდელი მესვეურები. ქართველ ბოლშევიკებს საკუთარი შეხედულობა არა აქვთ ან უვიცობისა გამო ან იმიტომ, რომ საკმარისია ერთი დაცაცხანება მოსკოვიდან, რომ მყისვე შორს გადაისროლონ საკუთარი აზრი და ერთხელ და სამუდამოთ გამოეთხოვონ დამოუკიდებელ ძიებას და მსჯელობას. ამის მაგალითი არა ერთი იყო. მახარაძე, მდივანი და მათი მსგავსნი «უკლონისტებად» მონათლეს მოსკოველებმა, ე. ი. მიდრეკილება დასწამეს «ეროვნულ ცრუმორწმუნოებისაკენ». მაგრამ მახარაძე ჯერ კიდევ 1921 წ. უმტკიცებდა თავის ბატონებს, ქართველი ხალხის ეროვნულ გრძნობათა წინაალმდეგ ზომები უნდა იქნეს მიღებული, მაგრამ ნელნელა და არა ერთბაშადო. იგი არც გარუსების წინაალმდეგია, მაგრამ არა იძულებითის, მოსწრაფებულის. ბ. მდივანი ამტკიცებდა ზემო დასახელებულ მე-12 ყრილობაზე, ეროვნული საკითხი საპროგრამო საკითხია და არა ტაქტიკის, ხოლო მისთვის საქართველო ერთი პატარა ნაჭერია საბჭოთა ტერიტორიის და ბოლოს და ბოლოს უნდა შეეწიროს ბოლშევიკური იდეის გამარჯვებას. კ. ცინცაძემ განაცხადა: როცა საქართველოს დამოუკიდებლობა ძალით გათქვლიფეს ცენტრალისტებმა ამიერკავკასიის რესპუბლიკაში, ამის წინაალმდეგი ვიყავით, რადგან დროებით საჭირო იყო დამოუკიდებლობის შენახვა ნაციონალისტურ წინაალმდეგობათა დასაძლევათო.

რაც შეეხება არა «უკლონისტებს», ცენტრალისტებს, მოსკოვისტებს, იმათ ეროვნულ პოლიტიკაზე ლაპარაკი სულ მეტია. ისინი მოურიდებლად ამჟღავნებენ თავის ანტიეროვ-

---

*) რუს ბოლშევიკების ველიკოდერჟავული ნაციონალიზმი მეტად დამახასიათებელი მოვლენაა და ამის შესახებ ჩვენს გაზეთში ცალკე წერილი დაიბეჭდება. რედ.

ეროვნული

კავშირს გერმანიისა რუსეთთან, მაშინ როდესაც ბერლინის ხელშეკრულებაში ლაპარაკია ცალმხრივ ნეიტრალიტეტზე. როცა არც ერთი მხარე არ არის მშვიდობიანობის დამრღვევი. ცხადია, რაპალო მხოლოდ სიტყვის მასალაა და სავსებით შეცვლილია უფრო შეზღუდულ ბერლინის ხელშეკრულებით.

კომუნისტები და რასისტები, როგორც მოსალოდნელი იყო, სხვა შინაარსს სდებენ ბერლინის ხელშეკრულებაში: ლოკარნო და ჟენევა გავანადგუროთო—გაიძახიან ისინი. ძნელია დაუმალოთ მათ ეს მხიარულება, მოსკოვს პირდაპირ ეპივრება რითიმე გაართოს თავისი «პლებსი». ის მალავს, თუმცა კარგათ იცის, რომ, სანამ კრესტინსკის შეუთანხმდებოდა, შტრეზემანმა ლონდონსა და პარიზს აცნობა ხელშეკრულების დედა-აზრი და მათგან პროტესტი არ მიუღია.

საყოველთაო გაფიცვა ინგლისში. ერთ კვირაზე მეტი მთელი მსოფლიოს ყურადღება ინგლისისკენ იყო მიპყრობილი. თანამედროვე ცხოვრების ორი უდიდესი ძალა დაეჯახა ერთმანეთს: შრომა და კაპიტალი, მუშათა კლასი და ბურჟუაზია. ბრძოლა ამ ორ კლასთა შორის ახალი არ არის, გაფიცვა და ლოკაუტი თანამედროვე სოციალურ ურთიერთობის თანდაყოლილი მოვლენაა, მაგრამ ის, რაც ინგლისში დატრიალდა, აღემატება თავის სიდიადითა და მასშტაბით ყველა აქამდის ნახულსა და გაგონილს.

საყოველთაო გაფიცვა არა ერთხელ ყოფილა მუშათა კონგრესების და პრესის საკამათო საგანი, თეორიულათ ის აღიარებულიც კი იყო, როგორც გადამწყვეტი საშუალება სოციალურ ბრძოლისა, მაგრამ პრაქტიკულათ მხოლოდ ინგლისში სცადეს ის. საკმარისი იყო ტრედ-უნიონების ცენტრის ერთი სიგნალი, რომ მყისვე შეჩერებულიყო მუშაობა წარმოების უმთავრეს დარგებში. არავინ ელოდა ამას, შეიძლება თვით გაფიცვის მეთაურნი არ ელოდენ! რატომ? იმიტომ რომ სხვებთან სოლიდარობის გამო გაფიცვა მეტად ძნელია.

ინგლისის საყოველთაო გაფიცვაც სწორეთ ამ ხასიათის იყო. მისი სათავე ქვა-ნახშირის დარგში მომხდარი კონფლიქტი იყო. უკანასკნელმა კიდევ შარშან იჩინა თავი. აღმოჩნდა, რომ ეს დარგი მრეწველობისა ვერ ფარავს გაწეულ ხარჯს და ზარალობს. პატრონები მოითხოვდენ ამიტომ მუშის ხელ-ფასის დაკლებას და სამუშაო დროის გადიდებას. მუშები არ დათანხმდნენ, პატრონები კი ლოკაუტით იმუქრებოდენ. კონსერვატიულ მთავრობას სხვა არაფერი დარჩენოდა, დაუნიშნა ხაზინიდან დროებითი დახმარება პატრონებს, რომ მათ შესძლებოდათ წარმოების განგრძობა. ასე გაიარა ათმა თვე, ხაზინამ დახარჯა 30 მილიონამდე გირვანქა სტერლინგი, ვადა კი პირველ მაისამდე იყო. და ვინაიდან ამ დროისათვის არ მოხდა შეთანხმება და მთავრობამაც უარი სთქვა სუბსიდიის განგრძობაზე, პატრონებმა ლოკაუტი გამოაცხადეს და მილიონზე მეტი მუშა ქუჩაზე დაყარეს. ამას მოჰყვა ტრედ-უნიონების ცენტრის ჩარევა და საყოველთაო გაფიცვის გამოცხადება, როგორც ნიშანი სოლიდარობისა მაღაროების მუშებთან.

მთელი სახელმწიფო დამბლა დაცემულს დაემზგავსა. შეჩერდა წარმოება, მიმოსვლა, სანოვაგის გადაზიდვა, ნავთსადგურები დატვირთულ გემებით აივსო, გაზეთების გამოსვლაც შეწყდა. ამას ზედ დაერთო კონტინენტის, ე. ი. ევროპის მაღაროების მუშების და მეზღვაურთა გადაწყვეტილება, არ გაეშვათ ინგლისისკენ არც ერთი დატვირთული გემი...

ინგლისის საზოგადოება ორ ბანაკათ გაიყო: ერთის მხრით, მუშები და მათი ცენტრალური ორგანოები, მეორეს მხრით, შეძლებული კლასები და მთავრობა. პრემიერმა ბოლდვინმა განაცხადა, რომ ტრედ-უნიონების ცენტრი მთავრობის ფუნქციებს კისრულობს, ებრძვის ქვეყნის კონსტიტუციურ წყობილებას, მის პარლამენტს, მის თავისუფლებას, და ამიტომ. სანამ ის უკან არ წაიღებს თავის განკარგულებას გაფიცვის შესახებ, ჩვენ ვიღებთ მის გამოწვევას და ვებრძვითო. პარლამენტის უმრავლესობამ—კონსერვატორებმა და ლიბერალებმა—მას დაუჭირა მხარი. გამოცხადდა განსაკუთრებული წესები. მთავრობა შეუდგა წარმოება-მიმოსვლის აღდგენას. დააყარა ზედ მოხალისენი საზოგადოების ყველა წრეებიდან აგრეთვე ჯარის-კაცნი, მეზღვაურნი. შეძლებულ და არისტოკრატიულ წრეებიდან ათასობით გამოვიდნენ მამაკაცები და ქალები, რომელნიც ასრულებდენ მუშის როლს. ამ ვეება ჭიდილშიც იჩინა თავი ინგლისელის სპორტსმენობამ, შენიზლავებამ და ეს დიდ ხალისს მატებდა ორივე ბანაკს.

მაგრამ ყველაზე უფრო განსაცვიფრებელი და საყურადღებო ამ დიდ ბრძოლაში იყო ორგანიზაციული უნარი და გამჭრიახობა მრავალ-მილიონიან მუშათა მასისა. დაუჯერებელია, რომ ასეთი მასიური მოძრაობა უსისხლოთ დამთავრდა. ეს მოწმობს მის მონაწილეთა მაღალ კულტურას, დისციპლინას.

და აი ასეთ მუშებსა და მათ ორგანიზაციებს უპირებს მოსკოვის კომინტერნი ხელმძღვანელობას! თუ რამდენათ უიმედოა ეს ჭირისუფლობა. ეს დაამტკიცეს ტრედ-უნიონებმა, როცა უკან გაუგზავნეს მოსკოვს მისი ჩეკი რამდენიმე მილიონ მანეთისა.

რუსეთ-საფრანგეთის კონფერენცია. სამი თვეა მას აქეთ, რაც რუსეთ-საფრანგეთის კონფერენცია გაიხსნა, და ჯერ კიდევ არავინ იცის, როდის დასრულდება. ფართე საზოგადოებაში და პრესაში ძვირათ ახსენებენ მას, თითქოს გადაავიწყდათ კიდეც. მოლაპარაკება კომისიებში სწარმოებს, უფრო ხშირათ დელეგაციების თავმჯდომარეთა—დემონზისა და რაკოვსკის—შორის, ასე რომ გარედან ძნელია მისი მსვლელობის გაგება.

დღემდის სულ ორი ოფიციალური ანგარიში გამოქვეყნდა: ერთი კონფერენციის გახსნის დღეს თებერვალში, მეორე კი აპრილში, ერთი ბანკეტის შემდეგ. ეს ანგარიშები შეიცავდა მხოლოდ საზეიმო სიტყვებს, სადაც სადაო კითხვები გახვეული იყო თავაზიან ზოგად ფრაზებში. ყოველ შემთხვევაში, საერთოთ მაინც შეიძლება ითქვას, რომ ფრანგები ძალიან თავდაჭერილი და სკეპტიკი იყვენ თავის დასკვნებში, მაშინ როდესაც რაკოვსკის სიტყვებიდან მარტოდენ ოპტიმიზმი სჩქეფდა.

მაგალითისათვის საკმაოა მოვიყვანოთ დემონზის აპრილის სიტყვის დედა-აზრი: საფრანგეთის საზოგადო აზრი არ გამოელის ჩვენი მოლაპარაკებიდან დადებით შედეგებს. მართალია, ჩვენ ჯერ ვერაფერს მივაღწიეთ, მაგრამ იმედს არ ვკარგავთ. მთავარი დაბრკოლება ისაა, რომ რუსები ვალის გადახდას უქვემდებარებენ კრედიტის მიღებას ჩვენგან, ე. ი., მათი განზრახვაა, ჩვენი ვალი ჩვენივე ფულით იხადონ. და ეს კი ჩვენთვის სრულიად მიუღებელია.

რაკოვსკი გაურბოდა ასე კონკრეტიულათ ლაპარაკს; არაფერია, ყველაფერი ჩინებულათ მოგვარდებაო—უპასუხებს ის დემონზის. იგი ეცადა იმავე დროს გაეფანტა «ჭორები» რუსეთის ეკონომიურ და ფინანსიურ კრიზისზე. მართალია, ჩერვონეცი ცოტათი დაეცა, მაგრამ ის ისევ ავწიეთო—სთქვა მან. იმავე რაკოვსკიმ ეხლახან განუცხადა «ჰავასის» სააგენტოს: ფრანგები არ გვთხოვენ ვალების ფორმალურ ცნობას, ვევაჭრებით მხოლოდ მის რაოდენობაზე! იხტიბარს არ იტეხს, რად იხდი, თუ არ სცნობ?!

ასე თუ ისე, ჯერ კიდევ იმავე ადგილს ტკეპნიან, თავი ვერ დაუღწევიათ ამ მთავარ სიძნელესათვის. რაც შეეხება დაზარალებულ ფრანგთა დაკმაყოფილებას, ამაზე ჯერ ლაპარაკიც არ ჰქონიათ. როდემდე გაგრძელდება ეს წყლის ნაყვა, ძნელი სათქმელია, ერთს პასუხისმგებელ ფრანგს უთქვამს—შემოდგომამდისო.

◆

## ხმა სოლოვკიდან.

ხმა სოლოვკიდან. «სოციალისტურ ვესტნიკ»-ში, 25 აპრილის თარიღით, მოთავსებულია წერილი ვინმე ვ. კრიმსკის, რომელიც ეხლახან დაბრუნებულა სოლოვკიდან, და აგვიწერს რამდენიმე ქართველის საშინელ მდგომარეობას.

აი, მოკლეთ ამ წერილის შინაარსი: შემოდგომას 1925 წ. კავკასიის ციხეებიდან ჩამოიყვანეს მოსკოვში 45 სოც. დემ. ქართველი. ამათგან 27 ცნობილი ქართველი სოლოვკაში გაგზავნეს ორ პარტიად. ისინი იქ მიუყენეს «მძიმე და [illegible]რებელ» სამუშაოს, როგორიცაა: შეშის ჩეხვა, ფიცრების და ქვების ზიდვა, უწმინდურობის წმინდვა და გადაყრა... ქართველების ტანსაცმელი სულაც არ იყო შეგუებული მკაცრ ჰავასთან, ეცვათ საზაფხულოთ, იყვნენ შემოცვეთილნი, ზოგნი ფეხშიშველი. როცა მოთმინების ფიალა აივსო, მათ გამოაცხადეს სიმშილის გაფიცვა და მოითხოვეს პოლიტიკურ რეჟიმზე გადაყვანა. ამაოთ. სოლოვკაში ჩამოსულმა კატიან-ბოკიას (ბუკია?) კომისიამ არც კი მოისურვა გაფიცულთა ნახვა. გაფიცვის მე-14 დღეს, ერთი ნაწილი, ლოგინად ჩავარდნილი, საავადმყოფოში გადაიყვანეს, ხოლო მეორე ნაწილს გამოუცხადეს: თუ არ მოგიხსნიათ გაფიცვა, გადაგიყვანთ ისეთ ყრუ ადგილას,სადაც «ჩაძაღლდებით» და არც არავის ეცოდინება რამე. გაფიცულები არ დანებდენ, განაგრძობენ სიმშილს. მე ისე წამოვედი—ათავებს კრიმსკი—, რომ არ ვიცი, რით დამთავრდა ქართველების ეს «ტანში ჟრუანტელის მომგვრელი ბრძოლა».

დიახ, მტერი განაგრძობს ჩვენი ერის საუკეთესო შვილთა წამებას: მას ბრაზი ერევა, რომ უძლურია გასტეხოს ქართველთა სულის სიმტკიცე, თავდადება წმინდა საქმისათვის. ის მხდალია, ლაჩარი—აქედან მისი გაბოროტებაც.

«დამოუკიდებელი საქართველო»
ხელისმომწერთათვის ღირს საფრანგეთში ერთის წლით 20 ფრ.,
ნახევარი წლით 10 ფრ. სხვა ქვეყნებში—ერთის წლით 25 ფრ.,
ნახევარი წლით 15 ფრ.

## ქართველები საფრანგეთში.

—ამა მაისის 26 საღამოს 9 საათზე საჯარო დარბაზში 16, rue Sorbonne ქართული კოლონია გამართავს საზეიმო საღამოს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების რვა წლის თავზე. საკონცერტო ნაწილში მონაწილეობას მიიღებენ ქ ქ. ვაჩნაძე-ივერსონისა და პაპუაშვილისა და ბ ბ. ნანობაშვილი, ივანიძე და ორბელიანი.

—28 მარტს პარიზის კოლონიის სხდომაზე გამგეობის მოქმედების შესახებ მოხსენების შემდეგ კრებამ ხელმეორედ ერთხმად აირჩია კოლონიის თავმჯდომარედ ბატ. დავ. სხირტლაძე. დანარჩენი გამგეობის წევრების არჩევა გადაიდო მომავალ სხდომისათვის.

— 27 აპრილს მოხდა პარიზის ქართულ კოლონიის კრება. ბატ. ექ. თაყაიშვილმა წაიკითხა მეტად საინტერესო ლექცია საქართველოს უძველეს ისტორიის შესახებ. ლექციის შემდეგ კრებამ აირჩია კოლონიის გამგეობის ოთხი წევრი: აბდუშელიშვილი შალვა, კობახიძე კოტე, ხუნდაძე მიხეილ და ჭაჭიაშვილი გიორგი.

— პარიზის კონსერვატორიაში გაიმართა ქ-ნ ვაჩნაძის-ივერსონის კონცერტი. დიდძალი ხალხი დაესწრო. ქ-ნ ვაჩნაძე-ივერსონისმა მშვენიერად შეასრულა თავის მომხიბლავი ხმით მრავალ-ფეროვანი პროგრამა და თვით საზოგადოებამ შეხვდა მეტად მხურვალედ და ქ-ნი ივერსონი დააჯილდოვა საჩუქრებით. საღამო იყო საინტერესო და განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ ქართველი მომღერალი ქალი პირველად გამოდის პარიზის საკონცერტო სცენაზე.

—სტუდენტების საღამო. კვირას, 26 მაისს საღამოს 9 საათზე გაიმართება სტუდ. საღამო. 61, Rue Madame. საღამოს პროგრამა: 1) ქართული ხორო—10 სიმღერა; 2) «ოთხი იმერელი»—კომედია; 3) ცეკვა.

— ახალი წიგნი. დაიბეჭდა და გამოვიდა ნ. ჟორდანიას «პოლიტიკა». წიგნი შეიცავს 72 გვ. ღირს 5 ფრ. წიგნის დაკვეთა შეიძლება შემდეგი მისამართით: M-r Kokaia. 13, Rue Médéah. Paris 14-e.

— «ბრძოლის» მე 10-11 ნომრები იბეჭდება და გამოვა ერთად ამა მაისის დამლევს.

* * *

ნულ მისწრაფებას. ვინმე სტურუა მოსკოვში პარტიულ კრებას უმტკიცებდა: პროლეტარიატისათვის, თუ ჩვენ არ ვულალატებთ მარქსის კომუნისტურ მანიფესტს, არავითარი სამშობლო არ არსებობსო. ელიავას და ორჯონიკიძის სიტყვებით (იმავე კრებაზე), საქართველოში თუ ვინმეა დაჩაგრული, ეს არა-ქართველი: სომეხი, თათარი, აფხაზი, ოსი, აჭარელი (ესეც ხომ ცალკე ერად გამოაცხადეს—ბოლშევიკების თავისებური «ეროვნული» პოლიტიკაა!), რომელთაც ავიწროვებენ ქართველი შოვინისტები, თორემ თვითონ ქართველი ერი ყვავის და ფუფუნებაში არისო. აღსანიშნავია: ორჯონიკიძე წელზე ფეხს იდგამდა და ცთილობდა დაემტკიცებია კრებისთვის, ტფილისში ქართველობა მარტო მეოთხედს შეადგენსო, მაშინ როდესაც კომუნისტების გაზეთშივე დაბეჭდილი იყო ცნობა, რომ 1922 წ. ტფილისის მკვიდრთა შორის ქართველების რიცხვი უდრიდა 34.7 პროცენტს. მაგრამ ბოლშევიკების ხელში რას აქვს თავისი ნამდვილი სახე, რომ ციფრები ციფრობდენ!

საქართველოს კომუნისტურ პარტიის 1924 წ. კრებაზე ლომინაძემ მოხსენება წაიკითხა, რომელშიაც შეეხო ეროვნულ მომენტსაც. მოვიყვანთ პატარა ამონაწერს გაზ. «კომუნისტი»-დან, ენის შეუცვლელად: «ჩვენი რევოლიუცია პირველ ხანებში სასტიკ წინაამდეგობაში იმყოფებოდა ფართე მასების პატრიოტიზმთან. თითეული წვრილ-ბურჟუაზიული პატრიოტი წითელ არმიას აფასებდა. რასაკვირველია, როგორც უცხო საოკუპაციო ძალას. საბჭოთა ხელისუფლება სასტიკ წინაალმდეგობაში იმყოფებოდა დემოკრატიულ მასების ნაციონალურ გრძნობებთან. და მხოლოდ პროლეტარიატის შეგნებული ავანგარდი, მხოლოდ კომუნისტური პარტია თვლიდა, რომ რევოლიუციის ინტერესები უფრო მაღლა დგას, ვიდრე ნაციონალური ინტერესები. ყველა დანარჩენები კი, თვით მუშათა მასებიც კი ნაციონალურ მომენტში ჩვენთან უთანხმოებისა და წითელ არმიის მოსვლის გამო მტრულად იყვნენ განწყობილნი ჩვენდამი...»

ჭეშმარიტად მარგალიტი სიტყვებია! აქ გაშიშვლებულია ნამდვილი არსება ბოლშევიზმისა ეროვნულ საკითხში. ძირს ეროვნება, გაუმარჯოს რევოლუციას! დეე, დაიღუპოს ერი, ოღონდ დაცულ იქნეს რევოლუციის ინტერესები,—აი ნამდვილი ბოლშევიკური მექანიკური შემეცნება. მაგრამ რა არის ეს რევოლუცია, რომელიც თავისთავისთვის არსებობს, განყენებულად? ვის ემსახურება, ვისთვისაა საჭირო, თუ ერი აღარ იქნება, ერი მოისპობა? რას მოუტანს ქართველ ერს თუნდაც უდიდესი რევოლუცია, ძირიან-ფესვიანი მოსპობა ყოველგვარ უსამართლობათა, თუ ეს ერი დაჰკარგავს შემოქმედებითს ნიჭს, ცხოველ სულს, საკუთარ შეგნებას, მოისპობა, აღარ იარსებებს? რა ვუყოთ, სიტყვას მოგვიჭრის ბოლშევიკი: ქართველი არ იქნება, სხვა იქნებაო. სწორედ აქაა მთავარი დავა ჩვენსა და ბოლშევიკებს შორის: მათვის სულ ერთია, ვინ იცხოვრებს საქართველოში, იარსებებს ქართველი ერი თუ არა; ჩვენ კი გვინდა, რომ საქართველო როგორც იყო ისევ დარჩეს ქართველების სამშობლოდ, რომ ქართველი ერი არ გაქრეს, როგორც ერი, რადგან ესაა აუცილებელი პირობა ქართველი ხალხის დაწინაურებისა!

არ შეგვიძლია უყურადღებოთ დავტოვოთ ქარ. ბოლშ. ხსენებული კრების რეზოლუციის ერთი ადგილი, სახელდობრ შემდეგი: «ყრილობა ავალებს ხელმძღვანელ ორგანოებს არ დაკმაყოფილდნენ უკვე მიხწეულ შედეგებით და მომავალშიაც განაგრძონ მუშაობა ამ გადაწყვეტილებათა საფუძველზე საბჭოთა საქართველოს შემადგენლობაში შემავალ ეროვნულ უმცირესობათა სამეურნეო და კულტურულ დონეს ასაწევად *), ქართულ კულტურის განსამტკიცებლად, ამიერ-კავკასიის ფედერაციის და საბჭოთა სოციალ. რესპუბლიკების კავშირის განსავითარებლად და გასაძლიერებლად». ვითომდა რატომაა წინ წამოყენებული აქ ეროვნ. უმცირესობათა საჭიროება და მერე მოხსენებული ქართველობა, რომელიც, ბოლშევიკების ანგარიშითვე, საქართველოში 70 პროცენტს აღემატება? სამარცხვინოდ მიაჩნიათ, რომ საქართველოს მთავრობა ყოვლის უწინარეს იყოს საქართველოს მთავრობა? თუ განსაკუთრებული მზრუნველობის გამოჩენა უნდოდათ არა-ქართველებისთვის? მართალია, ბოლშევიკები საქართველოში არაქართველებს მეტის ნდობით ეპყრობიან, ვიდრე ქართველებს, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვეულებრივ ბოლშევიკურ თვალმაქცობასა და დემაგოგიასთან გვაქვს საქმე. ბოლშევიკებისთვის ყველა ერი ერია, ყველა ეშმაკეულია, არც ერთისთვის თავს არ შეიწუხებენ. ხოლო თუ პირველ რიგში მათი რეზოლუცია ეროვნ. უმცირესობათ იხსენიებს, ეს მათი დემაგოგიური ტაქტიკაა: შეგვხედეთ, რა ყოჩაღები ვართ—ჩვენ ქართველები—სხვებს უწინ ვიხსენიებთ, ვიდრე ქართველებსო!

ამგვარ სიყალბესა და დემაგოგიაზეა აგებული საერთოდ მთელი ბოლშევიკური პოლიტიკა ეროვნულ საკითხში. ეროვნება მიაჩნიათ რეაქციონურ მოვლენად, ეროვნული გრძნობა და შეგნება ცრუმორწმუნოებად და ეროვნული თვითარსებობის და დამოუკიდებლობის დამცველნი თავის მტრებად. ხოლო ოდნავ მაინც თუ ანგარიშს უწევენ ეროვნულ მოძრაობას, ვითომც კიდეც მფარველობენ ეროვნების გამოსახულობას—ენას, მწერლობას და სხ.—ამით სურთ ხალხი მიიმხრონ. ბევრს ყვირიან, ეროვნულ თავისუფლებას ვესარჩლებითო იმიტომ, რომ უნდათ ერთგვარი შთაბეჭდილება მოახდინონ აღმოსავლეთზე, ევროპის კოლონიების ერებზე: ჩვენ მოგვემხრეთ, ეროვნულ თავისუფლების დამცველნი ვართ, ჩვენ დაგეხმარებით მჩაგვრელების წინაალმდეგო. ეროვნულად დაჩაგრულ ქვეყნების ამოძრავება კი აუცილებელი პირობაა, როგორც თვითონ ამბობენ, მათის რევოლუციის გასამარჯვებლად.

მაგრამ ჩვენ ვნახეთ, როგორ ესმით ბოლშევიკებს ეროვნება და როგორი დამცველები არიან ეროვნულ თავისუფლების. იმ დამოუკიდებლობაში, რომელსაც ისინი ანიჭებენ თავის «კავშირში» ძალით ჩათრეულ ერებს, თავისუფლების კარიკატურისა და ცინიზმის მეტი არა არის რა. ბოლშევიკები ინგლისის ახალშენებს განთავისუფლებას ჰპირდებიან, მაგრამ ვინ არ იცის, რომ ეს ახალშენები დღესაც მეტს თავისუფლებას სარგებლობენ, ვიდრე «საბჭოთა სოციალისტ. რესპუბლიკების» შემადგენელი «დამოუკიდებელი» ნაწილები. ამიტომ ცხადია, ვინც ოდნავადაც არის გაეცნობა ბოლშევიზმის მსოფლმხედველობას და პრაქტიკას, ის აუცილებლად ეტყვის: timeo Danaos et donna ferentes...

ბოლშევიკებს არ შეუძლიათ ეროვნული დამოუკიდებლობა დაიცვან იმიტომ, რომ არიან უკიდურესი ცენტრალისტები, იმიტომ რომ სძულთ ეროვნება და არც რა გაეგებათ იმის არსების. მაგრამ არის კიდევ მესამე გარემოებაც, რაიც აძლიერებს მათში სიძულვილს ეროვნულ თავისუფლებისადმი. ბოლშევიკებს წარმოდგენილი აქვთ ცხოვრების პროცესი მექანიკურად, სქემატიურად, მეტად მატერიალისტურად და ვერ იგუებენ პიროვნებას მისი რთული, მრავალფრად გადაკვანძულის, მოუსაზღვრავის და მოუსვენარის სულიერის აგებულობით. ბოლშევიკისთვის არ არსებობს პიროვნება; არსებობენ მკვდარი მატერიალური ძალები, რომლებიც ყველაფერს განაგებენ. ბოლშევიკი დასცინის პიროვნების ღირსებას და არც ერთს რეჟიმს გრძელი ისტორიის მანძილზე ისე არ დაუმცირებია, არ გაუთახსირებია, არ აუყრია პატივი ადამიანის პიროვნებისათვის, როგორც ეს ჩაიდინეს ბოლშევიკებმა. ადამიანს დაუკარგეს საკუთარი თავის პატივისცემა, ადამიანის საუკეთესო თვისებები გარყვნეს, ფეხით გასთელეს, წაართვეს მას საკუთარი აზრი, გრძნობა, ოცნებაც კი საკუთარი. საზოგადოება გადააქციეს მანქანად, სადაც ცალკე ადამიანები მხოლოდ უსულო მექანიკური ნაწილები არიან...

სადაც ასე უარყოფილია პიროვნების ყოველგვარი ღირებულება, სადაც არა სწამთ ცოცხალი პიროვნება, რასაკვირველია, ეროვნებასაც იქ არავითარი ფასი არ ექნება, ვინაიდგან ერი ხომ კოლექტივური პიროვნებაა—მუდამ ცხოველი, მუდამ შემომქმედი, მუდამ ახალის მაძიებელი. «უნდა მოკვდეს პიროვნება, უნდა მოკვდეს ეროვნება!» ბოლშევიკი სხვანაირ მდგომარეობას ვერ შეურიგდება: არაა საჭირო სხვადასხვაობა და თავისებურობა, გაჰქრეს სამუდამოთ მოუსვენარი «მე» —იყოს ერთი სახე, ერთი ფიქრი, ერთი გრძნობა! იყოს ნომრები და არა პიროვნებანი!

ბოლშევიზმი სიკვდილია ყოველ ეროვნების და ვისთვისაც ძვირფასია ეროვნება, ვისაც მიაჩნია ეროვნება პროგრესის უდიდეს ფაქტორად, ვერასოდეს შეურიგდება ბოლშევიკურ წყობილებას. ბოლშევიზმი და ქართველი ერის თავისუფლება, მისი შემოქმედებითი ძალების განვითარება ერთად მოუთავსებელია.

ს. ფირცხალავა.

---

*) როგორ სამარცხვინო გამოდგა ბოლშევიკების მოღვაწეობა ეროვნულ უმცირესობათა შესახებ, ეს უკვე იყო აღნიშნული ჩვენს გაზეთში.

# 1923 წ. მაისის 19 დახოცილ მამულიშვილთა ხსოვნას

რუსეთის ოკუპაციის ტერორის პირველი მსხვერპლი, როგორც მოსალოდნელი იყო, ქართველი მხედრობა გახდა. ერთის მხრივ «დამოუკიდებლობის კომიტეტის» შექმნამ, მეორეს მხრივ ჩოლოყაშვილის აშკარა მოქმედებაზედ გადასვლამ, აამოქმედა და დარაზმა ქართველი მხედრობა. შეიქმნა ეგრედ წოდებული «სამხედრო ცენტრი». მაგრამ ვიდრე ბოლშევიკური ტერორი აშკარად სწვდებოდა «სამხედრო ცენტრს», მან რამდენიმე ხანა განვლო. ყველას ახსოვს ქართველ ოფიცერთა დატყვევება და რუსეთში ამანათებად გაგზავნა, მაშინვე, ტფილისის აღების შემდეგ. ამ ტყვე ოფიცერთა შორის იყვნენ, სხვათა შორის, გენერლები ახმეტელი და სპ. ჭავჭავაძეც. გენერალი ახმეტელი ამ ტყვეობაში მოკვდა, ერთი პირველი მსხვერპლთაგანი საქართველოში დამკვიდრებულ ჩეკისა იყო პოლკ. ლეკვინაძე. ის დახვრიტეს გაცილებით ადრე, ვიდრე საქართველოში რაიმე მუშაობა დაიწყებოდა. 1922 წელს, ჩოლოყაშვილთან კავშირის გამო დახვრიტეს: პოლკ. სტროევი, კაპიტანი კ. ფავლენიშვილი, როტმისტრები: ს. ანდრონიკაშვილი, შ. ფავლენიშვილი, კ. ჩოლოყაშვილი, ლ. სუმბათაშვილი, შ. ვაჩნაძე, ლეიტენანტები დავ. ვაჩნაძე, არ. ვაჩნაძე, ვახმისტრი ა. გელაშვილი, უნტ.-ოფ. გ. ფავლენიშვილი და იუნკერი ძამასპირაშვილი. თქმაც არ უნდა, რომ ქართველი მხედრები, ამავე დროს, მრავლად ისხდნენ ჩეკის სარდაფებში და სატუსაღოებში. დანარჩენები გამოყრილნი იყვნენ სამსახურიდგან და დღე დღეზედ ელოდნენ დატუსაღებას. ტერორის შავი აჩრდილი უკვე ჩამოწვა საქართველოზედ და მან მიიღო საერთო ხასიათი.

1922 წლის აგვისტოში დაიწყო ხევსურეთის აჯანყება, რომელსაც ხელმძღვანელობდა ქ. ჩოლოყიშვილი. რუსის ჯარებმა აიკლეს დუშეთის და თიანეთის მაზრა, გადასწვეს რამდენიმე სოფელი და დახვრიტეს აუარებელი ხალხი. 1923 წლის მარტში გურიის შეწუხებულმა ხალხმა მოჰკლა ბოლშევიკურ დამსჯელი რაზმის მეთაური ყაჩაღი ობოლაძე. ამის გამო ჩეკამ ერთი დღის განმავლობაში დახვრიტა 92 კაცი და გამოაქვეყნა მძევალთა სია, ყოფილ მინისტრების, დეპუტატების და სხვა პირთა, რომლებიც დახვრეტილნი იქნებოდნენ, თუ მკვლელობა და აჯანყება კიდევ გამეორდებოდა.

მკვლელობა აღარ მომხდარა, მაგრამ სწორედ იმავე მარტში დაატუსაღეს მთელი რიგი მხედრებისა და ჩეკამ თითონ ჩაიდინა მკვლელობა. ეს იყო იმავე წლის 19 მაისში, როცა დახვრიტეს: კ. აფხაზი, ვ. წულუკიძე, ა. ანდრონიკაშვილი, რ. მუსხელიშვილი, დ. ჩრდილელი, ფ. ყარალაშვილი, ს. მუხრანბატონი, დ. კლიმიაშვილი, მ. ზანდუკელი, ი. კერესელიძე და ს. ჟიაბრიშვილი.

რისთვის? ჩეკის საბრალმდებლო ოქმი ამბობს, რომ ეს პირები შეადგენდნენ დამოუკიდებლობის კომიტეტთან არსებულ სამხედრო ცენტრს და ხელმძღვანელობდნენ ხევსურეთის აჯანყებას, რომელიც საერთო ქართულ აჯანყებათ უნდა გადაქცეულიყო. 19 მაისის მკვლელობამ მთელი საქართველო ააღელვა. შეიძლება ითქვას, რომ ამ ტერორით ბოლშევიკები ყელში სწვდნენ საქართველოს და მისი წახრჩობა სურდათ. ამ ხელად ჩეკამ ამოჰგლიჯა ქართულ სხეულს, მართლა, მისი გულ-ღვიძლი. აფხაზის, წულუკიძის, ანდრონიკაშვილის და სხვათა სახელები, ამის მაჩვენებელია. მოსპეს ქართული მხედრობის საუკეთესო ნაწილი, იმ განზრახვით რომ ეს ერთხელ და სამუდამოთ მოუღებდა ბოლოს ქართველი ხალხის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას. მაგრამ შემდეგმა ამბებმა ნათელ ჰყვეს, რომ თავისუფლების აზრის სიკვდილით დაშინება შეუძლებელია. 19 მაისის მსხვერპლნი ქართველმა ხალხმა თავას ეროვნულ გმირებად ჩარიცხა და როცა დადგა 1924 წლის აგვისტო, ამ წამებულთა გზას დაადგა ასობით და ათასობით ქართველობა. ეს აღარ იყო მარტო «მხედრობა», ეს აღარ იყო მარტო «სამხედრო ცენტრი»—ეს იყო მთელი ქართველი ხალხი და მთელი საქართველოს აჯანყება.

ამაშია სწორედ 19 მაისს წამებულთა ისტორიული მნიშვნელობა. აფხაზის, წულუკიძის, ანდრონიკაშვილის, ხიმშიაშვილის, მუსხელიშვილის და სხვათა სიკვდილის შემდეგ—თავისუფლებისათვის სიკვდილი საქართველოში საპატიო გახდა. მათ ასწავლეს ქართველ ხალხს თავგანწირვა. საქართველოში დადგა დიადი წუთი, როცა სიკვდილისა აღარავის ეშინოდა. და ეს არის სწორედ ფსიხოლოგიური შიგნეული 19 მაისის მკვლელობისა.

ჩვენ ვიგონებთ დღეს ამ 19 მაისს, სისხლს დანთხეულს ამ დღეს, სახელებს, ვინც ეს სისხლი დაღვარა. 26 მაისი—დღე ჩვენის დამოუკიდებლობის გამოცხადებისა და 19 მაისი—დღე ამ დამოუკიდებლობისათვის სიკვდილისა, სიმბოლიურად შეერთდნენ და ჩვენ ლოზუნგად გახდა 26 მაისისკენ—19 მაისით! *)

---



კონსტანტინე აფხაზი.

მარშლად არჩევამდე კ. აფხაზს იცნობდენ როგორც სამაგალითო ოფიცერს. ესწრებოდა თავად-აზნაურთა ყრილობებს, იღებდა მონაწილეობას საადგილ-მამულო ბანკის არჩევნებში და იყო მისი ზედამხედველ კომიტეტის წევრი. როგორც ხედავთ, ეს არ არის ისეთი იშვიათი თვისება, რომლითაც არ იყო შემკული მაშინ ბევრი სხვა რიგიანი აზნაურიც. იყო ერთი გარემოებაც. ის იყო დისწული ილია ჭავჭავაძის, გარემოება, რომელიც ბევრს ნიშნავდა, რომ აფხაზს ქართულ საზოგადოებაში კარგი კარიერა გაეკეთებინა. თქმაც არ უნდა, რომ აფხაზი, ყველაზე ნაკლებ სწორედ ამით სარგებლობდა, მაგრამ თავისთავად ეს იმას მოასწავებდა, რომ კ. აფხაზში თავმოყრილი უნდა ყოფილიყო ის საუკეთესო ტრადიციები ქართულის საზოგადოებრიობისა, რომელთა თავის დროზედ შემქნელი მისი სახელოვანი ბიძა იყო. ყველა ეს იყო. მაგრამ აფხაზის მაღალი სულის ნამდვილი თვისებები ჯერ კიდევ არ სჩანდნენ. მარშლად არჩევამ უცბად წასწია ის ქართველ მოღვაწეთა პირველ რიგებში. დიდმა ომმა, საქართველოს დამოუკიდებლობამ, დამოუკიდებლობის დამხობამ და პირადმა მისმა გმირულმა სიკვდილმა საბოლოოდ ასახა მისი ფიგურა როგორც მოღვაწის და პატრიოტის და დღეს ჩვენს წინაშე იგი სდგას როგორც საუკეთესო გამომხატველი ქართველი ხალხის მისწრაფებისა და შეგნებისა.

ვინ იფიქრებდა თხუთმეტი წლის წინედ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა და მისთვის ბრძოლა ისეთი ნამდვილი ამბავი გახდებოდა ქართველი ხალხისთვის, რომ მას შეწირებოდა კ. აფხაზი! ვინც ძველ ქართველ საზოგადოებას არ იცნობს, მისთვის ასეთი სიტყვები უქმია. ჩემთვის გასაგებია ის დღევანდელი თაობა, რომელიც ასპარეზზედ დამოუკიდებლობის შემდეგ გამოდის და რომელსაც ქართულის და საქართველოს მეტი არაფერი სწამს. გულის მოსახიბლავად საკმაოა სამი წელიც დამოუკიდებლობისა! მაგრამ რითი უნდა ყოფილიყვნენ მოხიბლულნი ისინი, ვისაც წინ მონობის ას ჩვიდმეტი წელი ედო? დი მაინც კ. აფხაზი იყო, რომელიც 1917 წლის ეროვნულ ყრილობას პირველი მიესალმა. სხვები ლაპარაკობდენ ახალს საქართველოზედ, აფხაზი კი საუკუნეთა საქართველოზედ, იმ საქართველოზედ, რომელიც იყო გუშინ, უნდა იყოს დღეს და იქნება ხვალ! ქართული სახელმწიფო მას წარმოდგენილი ჰქონდა, როგორც ეროვნული სხეული დამყარებული უფლების ნიადაგზედ და წარმართული პროგრესის გზაზედ, ასე ფიქრი რევოლუციის დროს (რევოლუცია კი ჩვენშიც იყო) აფხაზს დიდ კარიერას ვერ მოუტანდა. ამით აიხსნება რომ მისი როლი დამოუკიდებლობის ხანაში ისე შეზღუდული იყო. იყო მეორე მიზეზიც, რომელიც მას, ოპოზიციის ნამდვილ პოლიტიკურ მეთაურს, უმოქმედოთ ხდიდა. ეს მიზეზი გვესახება იმ გარემოებაში, რომ როგორც დღეს, მაშინაც ახალგაზდა სახელმწიფოს შინაური და საერთაშორისო მდგომარეობა ოპოზიციას დროებით ფაქტიურად შეუძლოდ ხდიდა. მაგრამ ყველას კარგად ესმოდა, რომ სხვა მთავრობას, თუ ამას გარემოება მოიტანდა, აფხაზი უნდა ჩასდგომოდა თავში.

1921 წლის ამბებმა უკან დასწიეს არა მარტო შინაური პოლიტიკის საკითხები, თვით საქართველო 1917 წლის იქით გადისროლეს და მისი დამოუკიდებლობა მოსპეს. ყველაზედ თვალსაჩინო და ყველაზედ სამარცხვინო ამბავი, რის გამოც რუსული რევოლუცია მუდამ ბარბაროსული დარჩება, ის არის, რომ ყოვლის უწინარეს მან მოსპო ის, რასაც რევოლუციის თეორეტიკოსები მის პირდაპირ ნაყოფად სთვლიდნენ. აქ უნდა ვიგულისხმოთ ახალ ეროვნულ სახელმწიფოთა წარმოშობა რუსეთის განაპირებზედ. ასე ფიქრობდენ, ყოველ შემთხვევაში, რუსის ბოლშევიკები მაინც, რომლებიც ერთა თვითგამორკვევის უფლებას თავის პრინციპად აცხადებდნენ. თუ ასეა, მაშინ ოქტომბრის რევოლუცია ის ხარბი მხეცი გამოდგა, რომელმაც თავისი ნაშობი თითონვე შესჭამა. მაგრამ საქმე სწორედ ასე არ არის, ერთა თვითგამორკვევის პრინციპი ევროპის ომის პრინციპი იყო და ახალი სახელმწიფონი მან წარმოშვა, მან მოიტანა თავისუფალი პოლონეთი, ჩეხეთი, გაერთიანებული სერბია, დამოუკიდებელი ფინლიანდია,ლატვია, ლიტვა და ესტონეთი. ევროპის ომმა აღადგინა აგრეთვე არაბთა ძველი სახელმწიფონი მცირე აზიაში. და პირიქით სწორედ ოქტომბრის რევოლუცია იყო, რომ დაამხო დამოუკიდებელი უკრაინა, ყაზახთა რესპუბლიკები, ჩრდილო კავკასია, ადერბეიჯანი, სომხეთი, ხივისა და ბუხარას საემიროები. ასე იყო საქართველოს შესახებაც. დამოუკიდებელი საქართველო შობა ევროპის ომმა და მოჰკლა ოქტომბრის რევოლუციამ. ამიტომ არის ქართული საკითხი საერთაშორისო.

ეს ესმოდა კარგად კ. აფხაზს და როდესაც რუსეთმა საქართველო დაიპყრო, მომხრე იყო ბრძოლის განგრძობისა, მიუხედავად იმის, რომ რუსეთმა ქართული ლაშქარი დაშალა და საქართველოს შეძლება აღარ ჰქონდა აშკარა ომი ეწარმოებინა. დარჩნენ სიტყვები, მის მიერ თქმულნი, უკვე საქმედ ქცეულნი, რომლებიც გასაოცარის სიმკვეთრით ხატავენ ამ ადამიანის აზრს ჩვენს პოლიტიკაზედ და თავის საკუთარ დახიშნულებაზედ, მან არ დასტოვა ტფილისი იმ ღამეს, როდესაც ხდებოდა მისი ევაკუაცია და სთქვა: «ტფილისი საქართველოა, ვინც ტფილის სტოვებს—სტოვებს საქართველოსო!» მან არ დასტოვა არც საქართველო, როცა რეპრესიები გაძლიერდენ და მას საზღვარ-გარედ წასვლას ურჩევდნენ და კიდევ სთქვა: «მე ვერ წავალ, მე უნდა მომკლან მათ!» ამ სიტყვებს განმარტება არ ესაჭიროება, ასე შევლენ ისინი ქართველი ხალხის ბრძოლის ისტორიაში, არა მარტო როგორც დასურათება ჩვენი დროის საუკეთესო ქართველის აზრებისა, არამედ როგორც ანდერძიც, რასაც უტოვებს ჩვენი თაობა მომავალს.

მისი თქმა წინასწარმეტყველური გამოდგა. ამ უბედურების წელიწადებში, მადლი უფალს, საქართველოში სიკვდილი ბევრი იყო. ვინ არ მოჰკლეს, ვინ არ დაიღუპა! რამდენი იყო ჭკვიანი,პატიოსანი, თავდადებული მსხვერპლი! მაგრამ აფხაზის სიკვდილი განსაკუთრებულია და დღემდე სიმბოლიური. ჩვენი მტრები ჩვენს ბრძოლას ავანტურას, უცხო სახელმწიფოთა ინტრიგას უძახდენ. ცდილობდნენ დაემტკიცებინათ ხალხისთვის, რომ ბრძოლას აწარმოებდა მხოლოდ ძველი მთავრობა ხელისუფლების დასაბრუნებლად. ძველი ისტორიაა! არ ყოფილა ისეთი მთავრობა, ამბობდნენ ისინი, რომელიც არ ოცნებობდეს რესტავრაციაზედ. მაგრამ განა ეს საბუთია, ამისათვის ხალხმაც იბრძოლოს? და მართლაც ასეთი დებულების გაბათილება ადვილი იქმნებოდა. გლეხკაცობაზედ მათ ეჭვიც არ ჰქონდათ. მუშებსაც მათვის უნდა დაეჭირა მხარი. ან სხვაფრივ როგორ იქნებოდა. რიღას «მუშურ-გლეხური» სახელმწიფო იქნებოდა მაშინ საქართველო! მათ აწუხებდათ სხვა ფიქრი. საჭირო იყო კმაყოფილი ყოფილიყო მთელი საქართველო: მწერლობა, ხელოვნება, ეკლესია, კმაყოფილი ყოფილიყო ჩვენი ეროვნული გრძნობა, ჩვენი ეროვნული პოლიტიკა. ერთი სიტყვით, კმაყოფილი ყოფილიყო ის, რასაც ჩვენს ენაზედ დამოუკიდებელი საქართველო ჰქვიან. ასეთ საქართველოს ყველაფერი წაართვეს, დაუტოვეს რა, მხოლოდ შეშინებული გონება, რათა კარგად მოეფიქრა, რომ ბრძოლა არ ღირს. მაგრამ მოხდა წინააღმდეგი: გლეხები და მუშები აჯანყდნენ «მუშურ-გლეხურ» მთავრობის წინააღმდეგ და რა გაოცებულნი დარჩნენ, როცა მათ ჩეკის ბნელი კუნჭულიდგან აფხაზის თვალებმაც შეანათეს. ისინი მიხვდნენ მაშინ, რაშიც იყო საქმე. საქართველოსთვის მთელი საქართველო იბრძოდა და აფხაზის ბედი გადაწყდა.

იყო მაისის დილა 1923 წლისა. მე ვიყავი ქუთაისში. ჩემთან შემოვიდა ახალგაზდა კაკო დგებუაძე და მომიტანა «კომუნისტის» ახალი ნომერი. ის გაფითრებული იყო. მე გადავშალე ვაზეთი და ამოვიკითხე დახვრეტილთა გვარები. თხუთმეტი გვარი, ასე ძვირფასი ჩვენთვის დღეს და მათ შორის აფხაზიც. ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის მთავარი კომიტეტის თავმჯდომარე კონსტანტინე აფხაზი დახვრეტილი იყო. აღარ მახსოვს, რა ვთქვით მაშინ. მაგრამ მახსოვს, რომ ერთი კვირის შემდეგ ჩემთან ტფილისიდგან ლეო დგებუაძე, კაკოს ძმა, ჩამოვიდა და მომიტანა მეგობრების გადაწყვეტილება ტფილისში ჩავსულიყავ....

იცის, ნეტა, აფხაზის სულმა, რომ ძმები ლეო და კაკო დგებუაძენი, რომლებიც ასე აღმერთებდნენ მას, დღეს ცოცხლები აღარ არიან? აგვისტოს აჯანყების დღეებში ისინი წავიდნენ დიდებისა და თავისუფლების იმ შუქზედ, რომელიც დაანთეს აფხაზმა და მისი სიკვდილის თოთხმეტმა ამხანაგმა იმ მაისის დილასა!

ისინი დახვრატეს ერთ დღეს, ერთი საქმისათვის!

შ. ამირეჯიბი.

---



ვარდენ წულუკიძე.

ვარდენ წულუკიძე დაიბადა ს. საწულიკიძოში, ქუთაისის მაზრაში 1866 წელს. იგი იყო შვილისშვილი დიდი სიმონ წულუკიძისა, რომელიც რუსების შემოსვლის დროს იმერეთში ფრიად თვალსაჩინო როლს თამაშობდა. სიმონის ძმა დავითი რუსეთის დიდი მოწინააღმდეგე იყო და ხელმძღვანელობდა რუსების საწინააღმდეგო მთელ რიგს გამოსვლას და ამბოხებას. ბოლოს შეპყრობილ იქნა და მოკლული რუსების მიერ.

ვარდენ წულუკიძემ პირველი აღზრდა ოჯახში მიიღო, აქ შეისწავლა პირველად ქართული წერა-კითხვა და ჩაენერგა გულში სიყვარული მშობელი ერის და სამშობლოსი. ის დრო იყო, როცა ქართველი თავად-აზნაურობა თავის შვილებს სამხედრო სამსახურისთვის ამზადებდა და ვარდენიც ტფ. კადეტთა კორპუსში შეიყვანეს, რომლის დასრულების შემდეგ გადავიდა მოსკოვის სამხედრო სასწავლებელში. 1886 წ. უკვე აფიცერია და მოისწრაფვის სამშობლოში. მაგრამ მთავრობამ სამსახური დაუნიშნა კასპიის მხარეში და შემდეგ დიდის ვაივაგლახით გადმოიყვანეს შემახაში, ადერბეიჯანში. რუსის თვითმპყრობელობა განზრახ ცთილობდა ქართველი აფიცერი საქართველოს მოეშორებინა და გადაეგვარებინა იგი. ვარდენი საუცხოვო აფიცრად ითვლებოდა და ბევრჯელ სთხოვა უფროსებს სამშობლოში განწესება, მაგრამ ამაოდ. მიუხედავად ამისა ვარდენი კავშირს არ სწყვეტს სამშობლოსთან, ფხიზლად ადევნებს თვალყურს მის ცხოვრებას, იწერს ქართულ წიგნებს და ჟურნალ-გაზეთებს და როცა 1918 წ. ეღირსება უკვე დამოუკიდებელ საქართველოში დაბრუნება, ყველასთვის სასიხარულო და სასიამოვნო იყო, რომ ხანში შესული, ჭაღარა გენერალი, რომელიც 28 წ. განმავლობაში მოწყვეტილი იყო სამშობლოს, მშვენიერის ლიტერატურულის ქართულით მიმართავდა თავის ჯარს.

როგორც სამხედრო პირმა, ვ. წულუკიძემ გაიარა ყველა საფეხური დივიზიის უფროსამდე ჯერ კიდევ რუსეთის არმიაში. მსოფლიო ომის დროს იგი იყო შემახის ლეგიონის სარდალი და დიდათ ისახელა თავი როგორც მდიდარი სამხედრო ცოდნით ისე თავის ბუნებრივის ნიჭით. ტყვილად კი არ იყო ის ყოველ ალლუმესა და ვარჯიშობის დროს ერთ საუკეთესო სამხედრო ხელმძღვანელად ცნობილი. 1914—15 წლ. ვარდენი იღებდა მონაწილეობას ლიუბლინის, ივანგოროდის, ვარშავისა და სხ. ბრძოლებში. ბოლოს გალიციაში, როცა მაკენზენმა შემოუტია რუსეთს, ვარდენი ხელმძღვანელობდა არიერგარდს და მხოლოდ თავის ლეგიონით აკავებდა მედგარ მტერს. აქ მძიმედ იქნა დაჭრილი ფეხსა და ხელში, მაგრამ უკან დახევა რუსის ჯარისა მაინც უზრუნველჰყო.

დიდხანს იავადმყოფა ვარდენმა ჭრილობისაგან და 1916 წ. დაინიშნა კავკავში ბრიგადის უფროსად, რომელიც დივიზიად უნდა გაეშალა. აქ მოუსწრო მას რევოლუციამ. 1918 წ. დიდის გაჭირვებით, თითქმის ფეხით იგი გადმოდის საქართველოში. ჩვენმა მთავრობამ ჯერ მიიწვია სამხედრო სამინისტროში პირადი შემადგენლობის განყოფილების უფროსად, ხოლო შემდეგ დანიშნულ იქნა მესამე მსროლელთა დივიზიის უფროსად ახალციხეში.

ვ. წულუკიძე იყო არა მარტო დიდი მცოდნე სამხედრო პირი და კარგი მეომარი, არამედ შესამჩნევი ორგანიზატორიც. «ჯარი რომ კარგი გვეყოლოსო, ამბობდა: საჭიროა მისი გაწრთვნა მშვიდობიანობის დროს, საჭიროა მისი კარგად ჩაცმა, დახურვა, კვება; საჭიროა მისთვის სულიერი საზრდოს მიწოდება, ჯარის-კაცის განათლება და განვითარება და სამშობლოს სიყვარულის ჩანერგვაო.» მაგრამ სამწუხაროთ საქართველოში ჯერ არ იყო ისეთი პირობები, რომელიც ასეთ მუშაობას ხელს შეუწყობდა. ცუდათ მოქმედებდა ჯარის მოწყობაზე ორგვარი სისტემის არსებობა—რეგულიარული ჯარის და სახალხო გვარდიისა. «სახალხო გვარდია, ამბობდა განსვენებული: შესაძლებელია გამოსადეგი იყოს შინაური აღელვების დასამშვიდებლად და საჭირო ჯარის შექმნამდის, მაგრამ ჯარის შექმნის შემდეგ იგი მავნებელია ჯარის ორგანიზაციისათვის და სრულიად გამოუსადეგარი ომისათვის.»

ბოლშევიკები რომ თავს დაეცნენ საქართველოს, ვ. წულუკიძის ჯარის-კაცები გაგზავნილ იქნენ ფრონტზე, თვითონ კი როგორც კარგი ორგანიზატორი დანიშნულ იქნა მთელი ზურგის ჯარების უფროსად. მას ბრძოლაში მონაწილეობა ერჩია, მაგრამ დავალების ასრულებას მხნედ და გულმოდგინედ შეუდგა...

საქართველო დამარცხდა. ბოლშევიკური რუსეთის ჯარებმა დაიკავეს საქართველო. ვარდენი დარჩა სამშობლოში. ბოლშევიკებმა მოინდომეს მისი ცოდნის და გამოცდილების გამოყენება. ჯერ დანიშნეს ერთ-ერთ ქართულ დივიზიის უფროსად, შემდეგ გადაიყვანეს სანაპირო ჯარის გამგედ.

---

*) საჭირო მასალების უქონლობისა გამო ვბეჭდავთ დღეს მხოლოდ ზოგიერთის ბიოგრაფიას. რ ე დ.

მაგრამ ვ. წულუკიძე იმისთვის არ დარჩა სამშობლოში, რომ საქართველოს მტრებისთვის სამსახური გაეწია. მას სურდა მშობელი ერის განთავისუფლება, დამოუკიდებლობის აღდგენა. იგი მხურვალედ შეუდგა მუშაობას. შევიდა სამხედრო ცენტრში, რომელიც დამოუკიდებლობის კომიტეტთან დაარსდა. და ამ სამხედრო ცენტრის ფაქტიური ხელმძღვანელი შეიქნა. დაიწყო საორგანიზაციო მუშაობა, შეიმუშავა და დაგზავნა ადგილობრივ იარაღისა და ხალხის მობილიზაციის გეგმა...

მაგრამ არ დასცალდა მამულიშვილს თავის მუშაობის ნაყოფის ნახვა და არც ის, რომ მისი საორგახიზაციო გეგმა ცხოვრებაში გატარებულიყო. ვარდენი ჯერ 1922 წ. დაიჭირეს და ოთხი თვის შემდეგ გაანთავისუფლეს. მან კვლავ განაახლა მუშაობა და აი სწორედ როცა საქმე კარგად იყო დაყენებული, სამხედრო ცენტრი იქნა გაცემული. 1923 წ. მაისში ბოლშევიკებმა დახვრიტეს ვ. წულუკიძე ა. ანდრონიკაშვილთან, კ. აფხაზთან, გ. ხიმშიაშვილთან და სხვებთან ერთად...

ვ. წულუკიძე იშვიათი ადამიანი იყო, იშვიათი თავის სამხედრო ცოდნით, სამშობლოს სიყვარულით, გულკეთილობით, ბუნებრივის დემოკრატიზმით. იშვიათი იყო თავის გარეგნულობითაც: ლამაზი, ბრწყინვალე და მეტყველის თვალებით, ჭაღარა წვერით, ახოვანი, მარდი—ძალაუნებურად მიიქცევდა პირველი შეხვედრისთანავე ყოველი ადამიანის ყურადღებას. როგორც ამხანაგი ყველასათვის საყვარელი იყო—მხიარული, გამტანი, თავდადებული. როგორც უფროსი ყველასაგან მოითხოვდა საქმის სინდისიერ შესრულებას, ხოლო ამის გარეშე იყო ნამდვილი მამა როგორც აფიცრებისთვის, ისე ჯარის-კაცებისთვის. ვერ შეხვდებით ადამიანს, რომელსაც ვ. წულუკიძის ხელქვეით ან მასთან უმსახურნია, რომ მის ხსენებაზე სიამოვნების ღიმი არ გამოეხატოს სახეზე.

ვ. წულუკიძის დიდბუნოვანობას და გმირობას სავსებით გამოხატავენ მისი უკანასკნელი სიტყვები: «გადაეცით ქართველ ხალხს, რომ ჩვენ დავიხოცნეთ, ვით შეჰფერის ქართველ მამულიშვილთო.» «სიკვდილით ვერ შეგვაშინებთ, უთხრა მან თამამად ჩეკის თავმჯდომარეს: ჩვენი სიკვდილი საქართველოს განთავისუფლების თავდებია, იგი გაასალკდევებს სიმტკიცეს, ერთი ათასად გაამრავლებს მებრძოლთ სამშობლოს აღდგენისათვის.»

ეს მარად მოსაგონებელი სიტყვები ვ. წულუკიძეს აერთებენ საქართველოს ისტორიის საუკეთესო მოღვაწეებთან.

◆


გენ. ალ. ანდრონიკაშვილი.

ალ. ანდრონიკაშვილმა დაამთავრა რუსული გენერალური შტაბი პირველი ხარისხით. ევროპის ომის დროს ჯერ იყო კორპუსის შტაბის უფროსად, შემდეგ სარდლად. იყო წმ. გიორგის და სხვა ორდენის კავალერი.

საქართველოში 1917 წელს დაბრუნდა და მხურვალე მონაწილობა მიიღო ქართული ჯარის შედგენაში. გენერალი ანდრონიკაშვილი პირველი უფროსი იყო ქართული გენერალური შტაბისა.

ეს იყო ხანა, როცა დაუდეგარი პოლიტიკის მიზეზით, თანამდებობის პირნი იძულებულნი იყვნენ ხშირათ ეცვალათ ადგილი და შტაბის უფროსობიდგან გენ. ანდრონიკაშვილი ქართული სამხედრო სკოლის უფროსად დაინიშნა. გენ. ანდრონიკაშვილი არც ამ თანამდებობას შერჩა დიდხანს და მალე სულ თანამდებობის გარეშე დარჩა, ის იყო ჩარიცხული სამხედრო მინისტრის მინდობილობის გენერლად.

ასეთ მდგომარეობაში მოუსწრო გენ. ანდრონიკაშვილს რუსეთის 1921 წლის შემოსევამ. ამ ომში გენ. ანდრონიკაშვილი კოჯორის ფრონტზედ იუნკერთა რაზმს მეთაურობს და ყველას ახსოვს, რა გმირობა გამოიჩინეს მისმა ქართული სამხედრო სკოლის შეგირდებმა.

რუსული ოკუპაციის დროს ის ითვლებოდა ქართ. სამხედრო სკოლის მასწავლებლად.

1923 წლის მარტში ჩეკამ დაატუსაღა და წარუდგინა ბრალდება «სამხედრო ცენტრში» მონაწილეობისა. ის იყო ამ ცენტრის თავმჯდომარე. საუკეთესო ქართველი ოფიცერი, გენერალური შტაბის უფროსი, სამხედრო სკოლის უფროსი—აღმზრდელი მომავალი ქართველი მხედრობის, წუთისოფელს გამოასალმეს, რადგანაც მისი გული სცემდა ხალხის გულთან ერთად, იყო მაღალი მამულიშვილი და სურდა საქართველოს ბედნიერება.

სიკვდილის დროს მას თავი მშვიდათ ეჭირა, როგორც საზოგადოთ მთელი თავისი სიცოცხლის დროს, მაგრამ როგორც საქართველოსთვის მებრძოლმა მან დაგვიტოვა სიტყვები აღსავსე მრისხანებით მტრების წინააღმდეგ და იმედით თავის საქართველოსთვის:

«მრავალნი ათასნი ჩვენზე უკეთესები ზრდიან თავიანთ გულში თქვენდამი სიძულვილს.»

ასე უთხრა მან თავის ჯალათებს და მის ანდერძს საქართველო არასოდეს არ დაივიწყებს.

◆


პოლ. გ. ხიმშიაშვილი.

1922 წლის მაისში, ბოლშევიკებმა დაიბარეს გ. ხიმშიაშვილი და მისცეს წინადადება, ორ სხვა ოფიცერთან ერთად წასულიყო ჩოლოყაშვილთან და მთავრობის სახელით მოლაპარაკება გაემართა. ჩოლოყაშვილს უნდა რაზმი დაეშალა და შერიგებოდა მთავრობას. სამაგიეროთ მთავრობა მას ხელს არ ახლებდა. ხიმშიაშვილმა იცოდა, რომ ამ საქმის მოგვარება მეტად ძნელი იყო, მაგრამ ისეთ პირობებში იყო ჩაყენებული, რომ უნდა დასთანხმებულიყო. მაგრამ წარმოიდგინეთ ყველას განცვიფრება, როცა მთავრობის მიერ «ნდობით» აღჭურვილი გ. ხიმშიაშვილა წინა ღამით იქნა დატუსაღებული. ამის შემდეგ მას თავისუფლება აღარ უნახავს და ერთი წლის შემდეგ სხვებთან ერთად ისიც დახვრიტეს. აქედგან სჩანს, რომ მას არ შეეძლო პირდაპირი მონაწილეობა მიეღო არც ხევსურეთის აჯანყებაში, არც იმ პირთა მოქმედებაში, რომლებიც ამ ხნის განმავლობაში კარში თავისუფლად მოქმედებდნენ. მაგრამ გ. ხიმშიაშვილი მეტად გამორკვეული პიროვნება იყო ბოლშევიკებისთვის, რომ მის დასახვრეტად «ნამდვილ» ბრალდებას მნიშვნელობა ჰქონოდა.

ვის არ ახსოვს იგი, დამოუკიდებლობის დღეებში, ლამაზი და მამაცი ოფიცერი—მონაწილე ყველა ჩვენი ომების. ასეთივე დარჩა ის ბოლშევიკურ ოკუპაციის დროსაც. ჩეკას საბრამდებლო ოქმმა იმასაც დასდო ბრალი, რომ იყო წევრი სამხედრო ცენტრის და მარტო ესეც კმაროდა. ამბობენ რომ მან მოახერხა გაქცევა, როცა დასახვრეტად მიყავდათ, მაგრამ მოჰკლეს გაქცევის დროს.

გ. ხიმშიაშვილი შვილისშვილი იყო ჩვენი სახელოვანი მგოსნის რაფაელ ერისთავისა. რა გასაკვირველია, რომ მასაც ისე ჰყვარებოდა საქართველო, როგორც სამშობლო—ხევსურს. აქედგან არის ისიც, რომ სიკვდილის წინ მან დასტოვა პატარა ლექსი, აღსავსე პატრიოტული ლირიზმით:

«თავის მოსისხლეს თუ მოსპობს მტერი დედამიწაზე,
თუმც ვერ მოუვლის ჭირისუფალი ცრემლით საფლავზე,
მაინც ვნუგეშობ: ხსოვნა იქნება ერთგულ მხედარზე
და ქუდს მოიხდის მამულიშვილი ჩემ ხსენებაზე!»

«მაინც ვნუგეშობ!..» რა ძვირფასი, რა მორცხვი სიტყვებია! ეს პატარა ლექსი ჩვენი ბრძოლის მთელ ეპოსს უდრის...

მოიხადეთ ქუდი, მამულიშვილნო!

◆

### პოლ. რ. მუსხელიშვილი.

როსტომ მუსხელიშვილი იყო გენერალურ შტაბის პოლკოვნიკი. ბოლშევიკურ ოკუპაციის დროს ის დაინიშნა ქართული დივიზიის შტაბის უფროსად. ამ თანამდებობაზედ იყო როცა დაატუსაღეს. ყველა დატუსაღებულთა შორის მას ეკავა ყველაზედ უფრო საპასუხისმგებლო თანამდებობა. თავისთავად ცხადია, რა სისასტიკით მოეპყრობოდა მას ჩეკა და მართლაც ყველაზედ მეტი წამება გამოძიების დროს რ. მუსხელიშვილს გადახდა. მას წარუდგინეს ბრალდება, რომ იყო წევრი «სამხედრო ცენტრის» და ხევსურეთის აჯანყების დროს, როგორც წითელი შტაბის უფროსს, კავშირი ჰქონდა აჯანყებულებთან. საბრალმდებლო აქტიდან სჩანს, რომ მისი როლი მეტად აქტიური იყო. მას დააბრალეს, რომ განზრახ მილალა ექვსი ათასი რუსის წითელი ჯარის-კაცი დუშეთის მიდამოში, სადაც აჯანყებულები მათ მუსრს ავლებდნენ. ამას ჩეკა არას გზით არ აპატიებდა და დახვრიტეს. მუსხელიშვილი 35 წლისა იყო, განათლებული და ნიჭიერი ოფიცერი. სიკვდილის წინ თავის ერთად-ერთ ბავშვს წერილი დაუტოვა, რომ «იყო მუდამ პატიოსანი ქართველი და კვდება საქართველოსთვის».

◆


ელიზბარ გულისაშვილი.

ე. გულისაშვილი—პოლკოვნიკი—ემსხვერპლა თავის ქვეყანას 1923 წლის მაისში სხვა 14 მხედართა შორის. განსვენებული 30 წლის არც კი იყო, როდესაც საქართველოს მტრება გამოასალმეს სიცოცხლეს. ახოვანი, ტანადი, დინჯი—ის დაფიქრებული ადამიანის შთაბეჭდილებას სტოვებდა მუდამ. მამა მასი, შაქრო მღვდელი,—ასე ეძახდნენ მას თავის სოფელ საგარეჯოში და მთელ გარეთ-კახეთში—მწერალი იყო, «ივერიის» თანამშრომელი, კარგად დაფასებული ილია ჭავჭავაძის მიერ. ხელმოკლეობისა გამო ის თავის შვილს ელიზბარს ტფილისის რეალურ სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ვეღარ ჰგზავნის უმაღლეს სასწავლებელში და ყმაწვილი იძულებული ხდება სამხედრო სკოლაში შევიდეს. მსოფლიო ომში ის იბრძვის გერმანიის ფრონტზე. გულადობითა და [illegible] მოქმედებით მან ადრევე მიიპყრო უფროსების ყურადღება და იმთავითვე ჩაბმული იყო საპასუხო და მეტად სახიფათო ამოცანების შესრულებაში, რასაც მუდამ პირნათლად და ნიჭიერად აწარმოებდა. დამოუკიდებელ საქართველოს ის დაუბრუნდა უკვე დამსახურებულ უფროს ოფიცრის ხარისხში და უმაღლესი ორდენებით დაჯილდოებული. მაგრამ სხეული მთლად დასერილი ჰქონდა ჭრილობებისაგან.

თუ ჩვენ ჯარში ნაციონალიზაციის საშუალოდ რიგიანად განაარსდებოდა, ეს უნდა მიეწეროს, სხვათა შორის, ამ ოფიცერთა მუშაობასაც, რომელთა ოჯახებში ქართული სული სუფევდა. შაქრო მღვდლის შვილებმა ერთი მეორეზე უკეთესად იცოდნენ ქართული ენა; მისი ლიტერატურა, ისტორია. ელიზბარის ქართულის მოსმენა სასიამოვნო და მოსაწონი იყო. საქართველოს ჯარში რეფორმის მოხდენის შემდეგ ელიზბარი სხვა მრავალ ოფიცერთან ერთად დროებით სამსახურის გარეშე რჩება. ამავე დროს ეწყობა ბ-ნ ლეო კერესელიძის ლაშქარი ჩრდილო-კავკასიაში. ამ ჯარს გაჰყვა ელიზბარიც შტაბის უფროსის თანაშემწეობაში. უკანასკნელ ომში რუსეთთან ელიზბარ გულისაშვილი მოწვეულ იქმნა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარ კომიტეტის მიერ პარტიის რაზმის ხელმძღვანელად და ამ მოვალეობას—საქართველოს ისტორიის უმძიმეს ხანაში—ის ასრულებდა აღფრთოვანებით, გატაცებით, სიყვარულით! დღემუდამ რაზმის წვრთნაში იყო და სულ იმის ცდაში, რომ ამ რაზმს ნამდვილი ჯარის ერთეულის სახე მიეღო. ეს მან განსაცვიფრებელი სისწრაფით კიდევაც მოახდინა. ვისაც შემთხვევა ჰქონდა ენახა სამხედრო ტაძრის ეზოში ამ გუნდის დემონსტრაცია აწ განსვენებული ბენია ჩხიკვიშვილის წინაშე, ის დარწმუნდებოდა ამაში. «საქართველო»-ს რედაქციის ბინა სამხედრო შტაბათ დაეთმო ამ რაზმს. არ მახსოვს შემთხვევა, რომ შევსულიყავი იქ და არ მენახა ელიზბარი—მუდამ მომქმედი: ერთს თოფს უსწორებს, მეორეს «მარშიროვკას» ასწავლის, ამას ტყვიისმფრქვეველის მოწყობილობას აცნობს, და, წარმოიდგინეთ, სამხედრო თეორიის სწავლებასაც კი ასწრებდა წმინდა, მშვენიერი ქართულით! ნაზი ღიმილი კი განუყრელად დაჰკრთოდა სახეზე. მე არ მახსოვს ელიზბარი შუბლშეკრული...

როდესაც ჩეკელებმა ქართველი ოფიცრების უთავბოლოდ ჭერას მიჰყვეს ხელი, ელიზბარიც, ცხადია, უნდა მოჰყოლოდა მათ რიცხვში. ფანჯრიდან, თითქოს ეხლა, მახსოვს სამხედრო დიდი ჯგუფის შემორეკა მეტეხის ეზოში და ელიზბარიც—მომცინარი, შუბლგახსნილი! ის ჩქარა გაეცნო და დაუახლოვდა პოლიტიკურ პატიმრებს და გულმოდგინეთ ჩაება ჩვენს საერთო ცხოვრებაში: სწავლობდა და ასწავლიდა, ისმენდა და ასმენინებდა, დასვენება როდი უყვარდა!

რა ხელოვნურად აკეთებდა პურის მძივებს, ფერად-ფერადებს, ზოგს მისცემდა ქარვის სახეს, ზოგს—გიშრისას, უყვარდა კი უფრო ჩვენი დროშის ფერების შეზავება... ერთხელ შემოვიდა ჩემს ოთახში, მე შევნიშნე სახეზე არაჩვეულებრივი მოწყენა. თვითონვე დამასწრო: «ეჰ, რაფო, ჩვენ რა გვიჭირს, ჩვენ რანი ვართ, დღეს, თუ არა, ხვალ გაგვანთავისუფლებენ... ბრალი შენი და სხვა უფროსი ამხანაგებისა, რომელთა გადასახლებას გიპირებენ! მე ვშიშობ, ციმბირში არ გიკრან თავი ამ ჰარამზადებმა»... და გამომიწოდა სამფეროვანი მძივი.... სახსოვრად...

ელიზბარი სხვებთან ერთად, მართლაც, გაანთავისუფლეს ჩემს ჯერ კიდევ მეტეხში ყოფნისას, ჩვენ კი ოქტომბრის უგვამურ ღამეს თავს დაგვესხნენ და მოგვიტაცეს «რ-კ-პ»-ს ბრძანებით!

მაგრამ, რა ხანმოკლე გამოდგა საბრალო ელიზბრის თავისუფლება!..

რ. ინგილო.

### გენერალი კირ. ქუთათელაძე.

აპრილის 5 პოლონეთში, ქ. ბიდგოშჩში გარდაიცვალა გენერალი კ. ქუთათელაძე. რომლის სიკვდილმა ღრმა მწუხარება გამოიწვია როგორც ადგილობრივ ქართველებში ისე პოლონელ საზოგადოებაში. განსვენებული 65 წლის იყო, ჰქონდა გათავებული არტილერიის აკადემია და დიდი სახელი ჰქონდა დამსახურებული რუსეთში სამსახურის დროს. მიუხედავად იმისა, რომ რვა წლიდან რუსეთში იყო გაგზავნილი და თითქმის 1917 წლამდის განუწყვეტლივ იქ იმყოფებოდა, საუცხოვოდ აცოდა ქართული და იშვიათი მოყვარული იყო თავის სამშობლოსი. განთავისუფლებულ საქართველოში ის თავიდანვე მსახურობდა, იყო მასწავლებლად სამხედრო სასწავლებელში და მას ჰქონდა მონდობილი ბათომის სიმაგრეთა მოწყობა.

პოლონეთში ყოფნის დროს იქაურ ქართველთა შორის საერთო სიყვარული ჰქონდა მოპოვებული. პოლონელებიც დიდს პატივს სცემდენ და ძლიერ აფასებდენ როგორც ადამიანს და როგორც სამხედრო ავტორიტეტს. მის გასვენებას გარდა ქართველ ემიგრანტებისა დაესწრო მრავალი პოლონელი. მის კუბოს პატივი სცა ბიდგოშჩის მთელმა გარნიზონმა. პროცესიას წინ მიუძღოდა ესკადრონი, ბატარეა და ორი გუნდი ქვეითა ჯარისა ორკესტრით, კუბოს გარს ერტყა აფიცერთა საპატიო რაზმი. ქართველთა კალონიის კომიტეტმა კუბო შეამკო მშვენიერის ცოცხალის ყვავილების გვირგვინით.

◆

### პოლკ. კალისტრატე ბერიძე.

გარდაიცვალა ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ კალისტრატე ბერიძე. ჯერ კიდევ ჯანით და სიცოცხლით სავსე ის იძულებული გახდა დაეტოვებინა სამშობლო მხარე და თავის ოჯახით წამოსულიყო საზღვარ-გარეთ. ნამდვილი მამულიშვილი, კალისტრატე ცხოვრობდა მხოლოდ თავის სამშობლოს ბედითა თუ უბედობით და რა თქმა უნდა მისმა დამხობამ დაამხო მისი ჯანიც და სიცოცხლეც.

ჩვენ დიდის თანაგრძნობით ვუცხადებთ ჩვენს გულითად სამძიმარს მის მგლოვიარე ოჯახს და ნათესავებს, განსაკუთრებით მის მეუღლეს, პატივცემულ ქ-ნ ტასოს, რომელმაც თავის უბედურობაში კიდევ ნათლად დაამტკიცა, თუ რა ძვირფას ზნეობრივ ძალას წარმოადგენს ქართველ ქალი, როგორც თავგანწირული მეუღლე და დედა.

---

*Rédaction et Administration :*
M. J. GOBETCHIA
18, rue des Acacias, Paris.

Arpajon — Imprimerie de *La Gazette de Seine-et-Oise.*

Le Gérant : LARGILIÈRE.